11472
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ოთხშაბათი
11 დეკემბერი
1940 წ.
№ 286 (5987)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ამხანაგი ი. ბ. სტალინი სიტყვას ამბობს ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს.

# დეპუტატი ხალხის მსახურია

სამი წლის წინათ, 1937 წლის 11 დეკემბერს, ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრების ტრიბუნიდან გაისმა ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის დაუვიწყარი გენიალური სიტყვები; მთელი საბჭოთა ხალხი უსმენდა საყვარელი ბელადის ამ მკაფიო, გულის სიღრმეში ჩამწვდომ სიტყვებს მსოფლიოში ერთადერთ ნამდვილად თავისუფალ და ნამდვილად დემოკრატიულ არჩევნებზე, დეპუტატის როგორც ხალხის მსახურის მოვალეობაზე, ამომრჩეველთა უფლებებზე.

დეპუტატი არის ხალხის მსახური,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—მის მიერ წარგზავნილი უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. თავის მხრივ, ამომრჩევლებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს „უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივი გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი, რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს“.

საბჭოთა ხალხმა მტკიცედ შეითვისა თავისი პირველი დეპუტატის, თავისი საყვარელი ბელადის ბრძნული მითითებანი. საბჭოთა პარლამენტის არჩევნებში, რომელიც ჩატარდა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის — დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, მრავალეროვანი სსრ კავშირის ხალხმა გვიჩვენა უმაგალითო ერთსულოვნება და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, თუ რა მტკიცეა საბჭოთა ხალხის შემჭიდროება მშობლიური ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის გარშემო.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, დეპუტატსა და მის ამომრჩევლებს შორის საკმაოდ უცნაური დამოკიდებულება არსებობს. სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატობის კანდიდატები ელაქუცებიან ამომრჩევლებს, ათასგვარ დაპირებებს აძლევენ, ეფიცებიან ერთგულებაზე. მაგრამ როგორც კი არჩევნები დამთავრდება და კანდიდატები დეპუტატებად გადაიქცევიან, მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება. დეპუტატები სრულიად დამოუკიდებელი არიან ხალხისაგან, ისინი ივიწყებენ თავიანთ დაპირებებს და უხვევენ გზიდან, დაუსჯელად აკეთებენ ანტიხალხურ საქმეებს.

მაგრამ სულ სხვაა საბჭოთა ქვეყანაში. განვლილმა სამმა წელმა სავსებით დაამტკიცა, რომ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დეპუტატები განუყრელი არიან თავისი ხალხისაგან, ისინი მტკიცედ ასრულებენ ხალხის მიერ მიცემულ განაწესს, თავის მხრივ საბჭოთა ხალხი, სტალინური კანონის საფუძველზე, სისტემატურად უწევს კონტროლს თავისი დეპუტატების საქმიანობას და გავლენას ახდენს მასზე.

სოციალიზმის ქვეყნის საკეთილდღეოდ საბჭოთა ხალხის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში წარგზავნილთა ენერგიული მუშაობის შედეგად, იმის შედეგად, რომ ლენინ-სტალინის გმირული პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მთელი საბჭოთა ხალხი ეწევა უმაგალითო შემოქმედებითს მუშაობას,—ჩვენი ქვეყანა დღითიდღე უფროდაუფრო იზრდება და უძლეველი ხდება. უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის საზღვრები თვალსაჩინოდ გაფართოვდა და სსრ კავშირის ხალხთა დიად, სტალინურ ოჯახს შემოემატა 23 მილიონამდე მშრომელი, რომლებიც ჯერ კიდევ სულ ამ ცოტა ხნის წინათ გმინავდნენ კაპიტალიზმის მძიმე უღელქვეშ.

ამჟამად ახალი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელნი ირჩევენ თავიანთ დეპუტატებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ბესარაბიის, ჩრდილოეთ ბუკოვინის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხები, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ აკრძალული ჰქონდათ საბჭოთა გაზეთების კითხვა, ახლა უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით კითხულობენ ისტორიულ დოკუმენტს — დიდი სტალინის მიერ ამ სამი წლის წინათ ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვას და დეპუტატობის კანდიდატებად გულდასმით არჩევენ ყველაზე პატიოსან, კომუნიზმის საქმის ყველაზე ერთგულ ადამიანებს.

დიად საბჭოთა ქვეყანაში ჰყვავის ნამდვილი დემოკრატია. და ეს მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ სამყაროში ისპობა დემოკრატიზმის ის მოჩვენებითი ფორმებიც კი, რომლებითაც თავს იქებდნენ ეგრეთწოდებული დემოკრატიული ქვეყნები. ამ ქვეყნების მთავრობები, რომლებსაც უკვე აღარ შეუძლიათ ძველებურად, ყალბი დემოკრატიზმის დროშით დაიხსნან თავი წინააღმდეგობათა ხლართიდან, ახლა აშკარად გადადიან შიშველ, რეაქციულ დიქტატურაზე და უხეშად სთელავენ ფეხქვეშ მშრომელთა ყოველგვარ უფლებებს. ასეთია დემოკრატიის ბედი კაპიტალისტურ სამყაროში.

ისტორიამ გვიჩვენა, რომ სოციალიზმი და ნამდვილი დემოკრატია უძლეველი არიან. საბჭოთა დემოკრატიზმის დროშით, სტალინური კონსტიტუციის დიადი დროშით საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით შემდგომშიაც განუხრელად გასწევს წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

## 1941 წლის სრულიად-საკავშირო-სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის კანდიდატები

**ქუთაისი,** (საქდესი). წინასწარი მასალების მიხედვით, ქუთაისის რაიონიდან 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს 25 კოლმეურნეობა და 165 სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანი.

ფართო მაჩვენებლებით წარსდგება გამოფენაზე გეგუთის მილიონერი კოლმეურნეობა „წინსვლა“. მან 4 წლის განმავლობაში სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 19,79 ცენტნერამდე აიყვანა, ყურძნისა — 61,44 ცენტნერამდე, ახალი ვაზის გახარება — 95,64 პროცენტამდე.

ფართო მაჩვენებლებით წარსდგებიან გამოფენაზე აგრეთვე სოფ. ბარდუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და სოფ. რიონის კოლმეურნეობა „წითელი ზარათი“. პირველმა არახისის მოსავლიანობა ჰექტარზე 18,5 ცენტნერამდე აიყვანა, ხოლო მეორემ — ჰექტარზე საშუალოდ 3.984 კგ. მწვანე ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

## სოფლად კულტურული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

**ხაშური,** (საქდესი). ყველა მასწავლებლის, ექიმის, აგრონომის და საკოლმეურნეო სოფლის მთელი ინტელიგენციისადმი რიაზანის ოლქის სოფელ ფედიაკინოს ინტელიგენციის მიმართვას, რომელიც „უჩიტელსკაია გაზეტაში“ დაიბეჭდა 24 ნოემბერს, ფართოდ გამოეხმაურნენ ხაშურის რაიონის სოფელ ალის ინტელიგენცია და კოლმეურნეები. გაიმართა სოფელ ალის მასწავლებელთა, აგრონომთა, ექიმთა და სტახანოველ კოლმეურნეთა კრება, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა ფედიაკინელთა მოწოდება.

ალის კოლმეურნეობა მოწინავე გახდა რაიონში. აქ ფართოდ არის გაჩაღებული პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა, მოეწყო თვითმოქმედი წრეები, რომლებშიც ჩაბმული არიან კოლმეურნეები; იმართება ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კონცერტები, წარმოდგენები და კინო. სოფლის ინტელიგენცია აქტიურ მონაწილეობას იღებს საკლუბო მუშაობაში.

ალის საკოლმეურნეო ინტელიგენციამ კრებაზე მოიწონა სოფელ ფედიაკინოს ინტელიგენციის შესანიშნავი ინიციატივა და კონკრეტული ვალდებულება იკისრა. მან მოწოდებით მიჰმართა საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის ინტელიგენციას აქტიურად ჩაებას პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში და უზრუნველჰყოს სოფლად კულტურული მუშაობის შემდგომი განვითარება.

## ციტრუსოვანთა კრეფა-ჩაბარება

**მახარაძე,** 10 დეკემბერი (საქდესი). 9 დეკემბრისათვის მახარაძის რაიონში დამზადებულია 41.849.408 ციტრუსოვანი, რაც გეგმის 60,9 პროცენტს შეადგენს. ციტრუსოვანთა კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა ყველაზე უწინ რაიონში გადაჭარბებით შეასრულა ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. დავალებანი შეასრულეს აგრეთვე სოფელ ჰანიეთის, გომის, დვაბზუს და ასკანის კოლმეურნეობებმა, ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად-საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტმა.

ციტრუსოვანთა ჩაბარებაში შეუწყნარებლად ჩამორჩა ლიმონმანდარინის ტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც 9 დეკემბრისათვის მოკრეფილი და ჩაბარებული ჰქონდა მხოლოდ 812.000 ციტრუსოვანი, — გეგმის 51,3 პროცენტი. ჩამორჩენილი არიან აგრეთვე სოფ. ხვარბეთის, შრომის, ჯუმათის, თხინვალის კოლმეურნეობანი და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

### სსრკ თავდაცვის განმტკიცების სესხის მე-12 ტირაჟი

**ჩიმკენტი.** 11-13 დეკემბერს ჩიმკენტში შესდგება სსრკ თავდაცვის განმტკიცების სესხის მე-12 ტირაჟი. ტირაჟში გათამაშდება 48.871.300 მანეთის 299.450 მოგება. (საკდესი).

## შორეული ჩრდილოეთის ნაციონალური ოკრუგების 10 წელი

10 დეკემბერს ათი წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც შორეულ ჩრდილოეთში ექვსი ნაციონალური ოკრუგი შეიქმნა. სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1930 წელს პატარა ხალხებით დასახლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა კორიაკის, ჩუკოტკის, ტაიმირის, ევენკის, ხანტი-მანსისა და იამალო-ნენელთა ოკრუგები.

ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ააღორძინა ერთ დროს გადაშენების გზაზე დამდგარი ხალხები, რომლებსაც სასტიკად სჩაგრავდნენ ცარიზმი, ადგილობრივი მდიდრები, შამანები. ლუორავეტლანებმა (ჩუკჩები), ესკიმოსებმა, მანსებმა, ევენელებმა, ნენელებმა და შორეული ჩრდილოეთის ყველა დანარჩენმა ხალხებმა ახალი საამური და შეძლებული ცხოვრება იწყეს. ყოველმხრივ ვითარდება ნაციონალური ოკრუგები, იფურჩქნება მათი მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მრეწველობა.

ხანტი-მანსის ოლქში 1930 წელს იყო რამდენიმე ჰექტარი სათესი ფართობი, ახლა კი იგი 10 ათას ჰექტარს აღემატება. პირუტყვის სულადობა რამდენჯერმე გადიდდა. იამალო-ნენელთა ოლქის მოსახლეობა, რომელიც კოლმეურნეობებად გაერთიანდა, ახლა ერთიორად მეტ თევზს იჭერს, ვიდრე 1931 წელს და ერთი-ორად მეტ ბეწვეულს იღებს. ოკრუგის ბევრ კოლმეურნეობას მეირმეობის უმდიდრესი მეურნეობანი აქვს. კოლმეურნეობა „პუტ ლენინაში“ ირმების განსაზოგადოებული სულადობა 10.820 სულს უდრის; ამ ჯოგის საძოვრად კოლმეურნეობაზე მიმაგრებულია 1.400.000 ჰექტარი საძოვარი. გასულ წელს კოლმეურნეობამ მეირმეობისაგან მიიღო 190 ათასი მანეთი შემოსავალი, ხოლო წელს იმედი აქვს მიიღოს 275 ათასი მანეთი.

ნაციონალურ ოლქში თევზის ათობით ქარხანა მუშაობს. ვითარდება ადგილობრივი სატყეო მრეწველობა.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდ წარმატებას მიაღწია შორეულმა ჩუკოტკამ. შვილდი, ისარი, ძვლის კაკვი, ქვის ცული და სხვა პრიმიტიული იარაღები სამუდამოდ ჩაბარდა მუზეუმს. ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა რადიო, ტრაქტორები, აერომარხილები, თვითმფრინავები. ჩუკოტკის სანაპიროზე გადაჭიმულ სოფლებში გახსნილია 58 სკოლა, 14 ბიბლიოთეკა, 8 საავადმყოფო, 18 მოძრავი კინო.

ველარ იცნობთ დუდინკას — ტაიმირის ნაციონალური ოკრუგის ცენტრს. ამ ცოტა ხნის წინათ დუდინკა იყო პატარა ტუნდროვანი დაბა, რომელიც რამდენიმე სახლისაგან შესდგებოდა. ახლა ეს დიდი სოფელია, რომელსაც ამშვენებს ორსართულიანი სახლები, სასტუმრო, ელექტრონის სადგური, ტელეფონი. აქ გამოდის საოლქო გაზეთი, მოზამთრეებს მომსახურებას უწევს საჯარო ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი.

ჩრდილოეთის ხალხები დიად სოციალისტურ კულტურას დაეწაფნენ, ისინი შეუპოვრად ეუფლებიან მეცნიერებას. ნენელი ექიმი, ტექნიკოსი, მასწავლებელი, წითელი კარვის გამგე ახლა იშვიათი როდია. ნაციონალურ ოკრუგებში წარმატებით ტარდება საყოველთაო სწავლება. შორეულ ჩრდილოეთში შექმნილია ათასობით სკოლები, მათ შორის ბევრი სკოლა-ინტერნატი. ხანტი-მანსის ოკრუგში უკანასკნელი წლების მანძილზე მოსწავლეთა რიცხვი ერთი-ოთხად გაიზარდა. იამალო-ნენელთა ოკრუგის 5.740 ბავშვი სკოლებში სწავლობს. ეს ექვსჯერ აღემატება იმ ბავშვთა რიცხვს, რომლებიც 1931 წელს სწავლობდნენ.

ტუნდრაში გახსნილია საავადმყოფოები, საექიმო უბნები, ამბულატორიები, საბავშვო ბაგები და ბაღები. ჩრდილოეთის მოსახლეობას მომსახურებას უწევენ ასობით ექიმები, ბებიები, ფერშლები.

ხდება ნაციონალური ოკრუგების სამომთაბარო მეურნეობის რეორგანიზაცია. მომთაბარეები მუდმივ ბინადრობაზე გადადიან. მათთვის შენდება საკოლმეურნეო დაბები. შეიცვალა კარვების შინაგანი სახე. მხრჩოლავი შუაცეცხლი რკინის ღუმელმა შესცვალა, კარვებში დაგებულია იატაკი, გაჩნდა ავეჯი. (საკდესი).

## საწარმოო პროცესთა ავტომატური რეგულირება

### თათბირი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მანქანებისა და საწარმოო პროცესთა ავტომატური რეგულირების თეორიის საკითხებზე მოწვეულმა თათბირმა. თათბირში მონაწილეობას იღებდა 300-ზე მეტი მეცნიერი და სპეციალისტი — აკადემიკოსები, პროფესორები, კათედრებისა და საქარხნო ლაბორატორიათა ხელმძღვანელნი, უდიდეს საწარმოთა ინჟინრები.

ავტომატური რეგულირების თეორიის ზოგადი საფუძვლები ჩვენს ქვეყანაში დამუშავებულია გამოჩენილი რუსი მეცნიერების— ჩებიშევის, ვიშნეგრადსკის, ლიაპუნოვისა და ჟუკოვსკის მიერ. უკანასკნელ წლებში აკადემიკოსმა ლუზინმა დიდი განძი შეჰმატა მეცნიერებას. მან დაამუშავა მათემატიკის ერთერთი დარგის—მეტრული გამოანგარიშების —გამოყენების მეთოდი ავტომატური რეგულირების ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად.

ავტომატური რეგულირების საბჭოთა მეცნიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოებასთან. ამჟამად აგებულია აგრეგატები, დაფუძნებული რეგულირების თეორიის უახლეს პრინციპებზე. საბჭოთა კავშირში პირველად დადგმულია ავტომატური მართვის აპარატურა წნევიან ქვაბებზე; რომელთა ნაყოფიერება 200 ტონამდე ორთქლს უდრის საათში. 100 ატმოსფერომდე მაღალი წნევის პირობებში ორთქლის მიღების რთული პროცესები ავტომატურად — მოსამსახურე პერსონალის დაუხმარებლად მიმდინარეობს. ეს სათბობის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა და უზრუნველჰყოფს შეუფერხებელ მუშაობას.

მეორე აგრეგატი — ელექტრონული პოტენციომეტრი — ავტომატურად აწესრიგებს ტემპერატურას თერმიულ ღუმელებში. ამას წინათ გამოცდილ იქნა ძაბვის ელექტრონული რეგულატორები ინჟინერ გენცენბერგის სისტემისა. ისინი დიდი მგრძნობიარებით განირჩევიან და უზრუნველჰყოფენ მუდმივ ძაბვას ელექტროქსელში. თათბირმა საჭიროდ სცნო მანქანებისა და საწარმოო პროცესთა რეგულირების ერთიანი ზოგადი თეორიის შექმნა. ამ თეორიის შესაქმნელად სხვა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებთან ერთად მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას აკადემიკოსი კულებაკინი. (საკდესი).

## წუნმკეთებელნი მსჯავრდადებული არიან

9 დეკემბერს დამთავრდა ქარხანა „მოსკაბელის“ მუშაკთა ჯგუფის პროცესი. მათ ბრალდებოდათ მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვება. საქმეს არჩევდა რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ვ. მ. საკაჩის თავმჯდომარეობით.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, სასამართლომ ქარხნის დირექტორს ა. ტ. უხორსკის და მთავარ ინჟინერს ლ. ი. ბანკოვს მიუსაჯა საპატიმროში მოთავსება 5 წლით თვითეულს.

საცდელი სადგურის უფროსს შ. ს. ენგალიჩევს მიესაჯა შრომა-გასწორების სამუშაო 6 თვის ვადით და ხელფასის 10 პროცენტის გამოქვითვა, კონტროლიორს ნ. პ. ივანოვს — 1 თვის შრომა-გასწორების სამუშაო და ხელფასის 25 პროცენტის გამოქვითვა.

ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი კ. ვ. სიდოროვი და ამ თანამდებობაზე მისი წინამოადგილე ტ. ლ. გავრილიუკი გამართლებულ იქნენ. (საკდესი).

## სამტრედიის რაიონმა შეასრულა მანდარინის დამზადების გეგმა

**სამტრედია,** 10 დეკემბერი (ტელეგრაფით). რაიონის კოლმეურნეობებმა 10 დეკემბრისათვის შეასრულეს მანდარინის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 200.000 ცალის ნაცვლად დამზადებულია 200.200 ცალი. მანდარინის დამზადებაში ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს მელაურის, კულაშისა და ტოლების სასოფლო საბჭოებმა.

მანდარინის კრეფა-დამზადება გრძელდება.

## პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

### მოსწავლეთა მომსახურება საზამთრო არდადეგების დროს

1 იანვრიდან სკოლებში საზამთრო არდადეგები იწყება. პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ დაამტკიცა არდადეგების დროს მოსწავლეთა მომსახურების გეგმა.

პროფკავშირული ორგანიზაციები, კლუბებისა და კულტურის სასახლეების გამგეობანი ბავშვებისათვის მოაწყობენ დილებს, კინოსეანსებს, მხატვრული თვითმოქმედების საღამოებს, ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანებთან შეხვედრას. ყველგან უნდა მოეწყოს ბავშვთა შეჯიბრება თხილამურების, ჰოკეის, გლუსუნების დარგში; უნდა ჩატარდეს სხვადასხვა სამხედრო თამაშობანი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ წინადადება მისცა პროფკავშირთა ცენტრალურ, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს მოაწყონ ბავშვებისათვის საახალწლო ნაძვის ხეები. ჩვენი ქვეყნის 27 უდიდეს ქალაქში — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, ბაქოში, თბილისში, ლვოვში, ბელოსტოკსა და სხვა ქალაქებში შესდგება საერთო-საქალაქო საბავშვო დღესასწაულები.

არდადეგების დროს სულ მცირე 16 ათასი მოსწავლე დაისვენებს პროფკავშირთა დასასვენებელ სახლებში (საკდესი).

## თეატრალური თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერება

მთავრდება მზადება თეატრალური თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერებისათვის, რომელსაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი ატარებს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან, საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომთან, სრულიად-რუსეთის თეატრალურ საზოგადოებასთან და საკავშირო სარეწაო საბჭოსთან ერთად. დათვალიერების მიზანია თეატრალური თვითმოქმედების შემდგომი განვითარება, მისი იდეურ-პოლიტიკური და სამხატვრო დონის ამაღლება.

წინასწარი ცნობების თანახმად, დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 18.000 დრამატიული წრე, რომლებიც კულტურის სასახლეებთან და სახლებთან, კლუბებთან, წითელ კუთხეებთან და ქოხსამკითხველოებთან მუშაობენ. მოსკოვის ოლქში (მოსკოვის ჩაუთვლელად) დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებს 1.100 თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივი.

პირველი ტური, რომელიც კოლექტივის მუდმივი მუშაობის ადგილზე ტარდება, 15 დეკემბერს დაიწყება. რამდენიმე ქალაქში დათვალიერება რამდენადმე უფრო ადრე დაიწყო. ლენინგრადში უკვე გასინჯულია 114 კოლექტივის დადგმები.

მეორე ტური ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ჩატარდება იანვრის განმავლობაში. თეატრალური თვითმოქმედების საუკეთესო კოლექტივებს მიეცემათ დიპლომები. დათვალიერების შედეგები შეჯამებულ იქნება საოლქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შემოქმედებითს კონფერენციებზე. (საკდესი).

## საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის V პლენუმი

**სტალინირი,** 10 დეკემბერი (საქდესი). 9 დეკემბერს შესდგა პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის V პლენუმი. პლენუმმა მოისმინა შემდეგი საკითხები: ოქტომბერსა და ნოემბერში პარტიაში მიღების მდგომარეობა და თავდაცვითი მუშაობის დაყენება. პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

მოხსენებით პარტიაში მიღების მსვლელობის შესახებ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა პარტიაში მიღების დარგში, გაუმჯობესდა დოკუმენტების გაფორმება და რეკომენდაციების ხარისხი. საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიღებულია 30 კაცი, აქედან საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად — 7 კაცი და საკ. კ. პ. (ბ) წევრად—23 კაცი. შექმნილია სამი ახალი პირველადი პარტორგანიზაცია.

მომხსენებელმა ამასთან მოიყვანა პარტიაში მიღებისადმი და კანდიდატების აღზრდისადმი ზერელე დამოკიდებულების მრავალი მაგალითი: აეროკლუბის პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრად მიიღო პარტიის კანდიდატი გუბერმანი, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული იყო ხულიგნობისათვის. საქალაქო კომიტეტმა პირველადი პარტორგანიზაციის გადაწყვეტილება გააუქმა და გუბერმანი პარტიიდან გარიცხა. პედინსტიტუტის, კავშირგაბმულობის სამმართველოს, სახალხო განათლების საოლქო განყოფილების პირველადს პარტორგანიზაციებში ცუდად მუშაობენ კანდიდატებთან, პარტიულ დავალებებს არ აძლევენ მათ. პედინსტიტუტში 33 კანდიდატიდან მხოლოდ 12 კაცს აქვს პარტდავალება. ქალაქში არის დაახლოებით 200 კანდიდატი, რომლებსაც საკანდიდატო სტაჟი გადაცილებული აქვთ. დღის წესრიგის პირველ საკითხზე კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა.

თავდაცვითი მუშაობის დაყენების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ტედეევმა. ქალაქში არის თავდაცვა-ავიაქიმის 64 პირველადი ორგანიზაცია, წელს ნორმები „ვოროშილოვისებური მსროლელის“ ნიშანზე ჩააბარა 250 კაცმა, მსთ—77 კაცმა, საჰაერო ქიმიურ თავდაცვაში — 320 კაცმა, მოწყობილია წრეები, სადაც ახალწვეულნი რუსულ ენას სწავლობენ. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გააკრიტიკეს თავდაცვა-ავიაქიმის, ფიზკულტურის კომიტეტისა და ცალკეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. კამათში გამოვიდა 8 კაცი.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი. პლენუმმა ბიუროს წევრების შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. ჟღენტი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით. პლენუმმა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა ქაჯაევი.

# უკანასკნელი ცნობები

## ინგლის-გერმანიის ომი

### გერმანიის ცნობები

**ბერლინი,** 10 დეკემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება.

გერმანიის ხომალდმა, რომელიც ოკეანის წყლებში მოქმედებს, ჩასძირა 100 ათასი ტონა საერთო წყალწყვის გემები. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის ორი ხომალდი 14.500 ტონა საერთო წყალწყვისა.

9 დეკემბერს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ოკუპირებულ რაიონებში და ჩრდილოეთ გერმანიაში. გამოწვეულია უმნიშვნელო ზარალი. გუშინ მტერმა სამი თვითმფრინავი დაჰკარგა. გერმანიის სამი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

### ინგლისის ცნობები

**ლონდონი,** 10 დეკემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს თანახმად, 9 დეკემბერს ინგლისის მძიმე ყუმბარმშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ბორდოს. ბისკაის ყურის საფრანგეთის სანაპიროს ამ ნავსადგურს გერმანელები წყალქვეშა ნავების ბაზად იყენებენ. ინგლისის ყუმბარმშენთა ოპერაციებმა ორნახევარ საათზე მეტ ხანს გასტანა.

მრავალი ყუმბარა პირდაპირ მოხვდა ნავსადგურის სხვადასხვა ნაგებობას. ბევრგან აფეთქება მოხდა. ხანძრის ალი 50 მილის მანძილზე მოსჩანდა. მრავალი მძიმე ფუგასური ყუმბარა დაეცა გერმანიის წყალქვეშა ნავების ახლოს. რაბის კარის რაიონშიც მრავალი აფეთქება მოხდა. გარდა ამისა, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს საავიამოტორო ქარხანას ნავსადგურის მახლობლად.

ინგლისის თვითმფრინავებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელთა მძლავრმა საზენიტო ბატარიებმა.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ლორიანსაც, სადაც მოწყობილია ბორდოს შემდეგ მეორე ბაზა გერმანელთა წყალქვეშა ნავებისა ატლანტის ოკეანის საფრანგეთის სანაპიროსთან.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ლონდონში ოფიციალურად ადასტურებენ, რომ ინგლისის კრეისერმა „დიომედმა“ კუბის სამხრეთ სანაპიროს მახლობლად დააკავა გერმანიის სატვირთო ხომალდი „იდარვალდი“ 5.000 ტონა წყალწყვისა. გერმანიის ხომალდის ეკიპაჟი 45 კაცის შემადგენლობით დატყვევებულია.

## საბერძნეთ-იტალიის ომი

**ლონდონი,** 10 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბერძნები სწრაფად მიიწევენ ქალაქ ხიმარისაკენ, რომელიც მდებარეობს 35 კილომეტრზე არგიროკასტრონის დასავლეთით, სანტი-კვარანტისა და ვალონას შორის მდებარე სანაპიროზე.

იტალიელთა არიერგარდები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ბერძნების შეტევას და იყენებენ ტაქტიკას, რომელიც იქითკენ არის მიმართული, რომ ბერძნების ჯარის ნაწილები პატარ-პატარა რაზმებად დაქსაქსონ და ამრიგად წარმატებით კონტრშეტევის საშუალება მოიპოვონ.

30 კილომეტრი სიგრძის ფრონტის ცენტრში გააფთრებული ბრძოლაა. იტალიელები აქ განსაკუთრებით მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ბერძნებს.

## საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე

**ათენი,** 10 დეკემბერი (საკდესი). საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობის მიერ 9 დეკემბერს საღამოს გამოქვეყნებულ შემდეგს კომუნიკეს: „ბრძოლა დღესაც წარმატებით გრძელდებოდა. ჩვენ კვლავ წავიწიეთ წინ“.

საბერძნეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 9 დეკემბრის განმავლობაში იტალიის ავიაცია თავს არ დასხმია საბერძნეთის ტერიტორიას.

## იტალიის სარდლობის ცნობა

**რომი,** 10 დეკემბერი (საკდესი). იტალიის სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ ბერძნების ფრონტზე, ოსუმის სექტორში, იტალიის ჯარმა მტრის იერიში მოიგერია და ამასთან დიდი ზარალი მიაყენა მას. დანარჩენ ფრონტზე იტალიის ჯარი ახალ პოზიციებზე გამაგრდა.

ჩრდილოეთ აფრიკაში ჩამოგდებულია მტრის ოთხი თვითმფრინავი. აღმოსავლეთ აფრიკაში ტესენეას (ერიტრეა) ზონაში მოგერიებულია მტრის პატარა რაზმის იერიში; ამასთან მტერს მძიმე ზარალი მიადგა. იტალიელთა მხრივ დაჭრილია ოფიცერი და რამდენიმე მკვიდრი ჯარისკაცი. მტრის ავიაცია თავს დაესხა ასაბს და ჯიბუტიდან გამავალი რკინიგზის გასწვრივ მდებარე ადგილებს, რამაც უმნიშვნელო ზარალი გამოიწვია.

## საომარი მოქმედება დასავლეთ უდაბნოში

**ლონდონი,** 10 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ, გარიჟრაჟზე ინგლისის ჯარმა იერიში მიიტანა იტალიელთა პოზიციებზე სიდი-ბარანის სამხრეთით. ინგლისის ჯარმა იტალიელთა შეიარაღებული ბანაკი დაიკავა. ინგლისის ქვეითი ჯარის იერიშს ხელს უწყობს ფლოტისა და ავიაციის მოქმედება.

ლონდონში გუშინ საღამოს მიღებული ცნობებით, წარმატებით მიმდინარეობს ინგლისელთა ოპერაციები ფართო ფრონტზე დასავლეთ უდაბნოში. ინგლისელებმა ტყვედ ჩაიგდეს 1000 იტალიელი.

ინგლისის საჰაერო ძალების სარდლობის სპეციალურ კომუნიკეში, რომელიც 9 დეკემბერს გამოქვეყნდა კაიროში, ნათქვამია: „არმიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ინგლისის საჰაერო ძალებმა განუწყვეტელი ბომბარდირებითა და ტყვიამფრქვევის სროლით მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს იტალიის მოტოტრანსპორტსა და ჯარის ნაწილებს. ინგლისის თვითმფრინავებმა რამდენიმე წარმატებითი შეტევითი ოპერაცია განახორციელეს წინ მიმავალი ინგლისელთა ჯარის წინა ხაზზე. ჩამოგდებულია მტრის ორი თვითმფრინავი.

ბომბარდირებულია იტალიის რამდენიმე აეროდრომი. ელ-ადემში დანგრეულია ანგარი. 8 დეკემბერს ღამით ინგლისის ავიაციამ განსაკუთრებული გააფთრებით და ხანგრძლივად დაუშინა ყუმბარა ბენინას, სადაც 20 ტონაზე მეტი ყუმბარა დააყარა აეროდრომსა და სხვა ობიექტებს. ბომბარდირების შედეგად რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. მთელს აეროდრომს ცეცხლის ალი მოედო. ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აგრეთვე სიდი-ბარანის, სოლუმსა და ბარდიას“.

## უთანხმოებანი საფრანგეთის მთავრობაში

**ნიუ-იორკი,** 9 დეკემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ გადმოცემით, პეტენი იხილავს კაბინეტის რეორგანიზაციის საკითხს. კაბინეტის რეორგანიზაცია დაკავშირებულია იმ უთანხმოებასთან, რასაც ადგილი აქვს ერთი მხრივ — ლავალსა და დარლანს და, მეორე მხრივ — ალიბერსა და ბოდუენს შორის. შესაძლოა, რომ ფლანდენი შესცვლის ლავალს.

# სრულიად-საკავშირო თათბირი მეაბრეშუმეობის საკითხებზე

7 დეკემბერს — მეაბრეშუმეობის საკითხებზე მოწვეული სრულიად-საკავშირო თათბირის მეორე დღეს მოსმენილ იქნა პროფესორ კოსმინსკის (პიატიგორსკის სადგური), ამხ. კაზაროვას (უკრაინის სადგური) და ამხ. ღვინეფაძის (თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი) მოხსენებანი გაზაფხულისა და ზაფხულის გამოკვების აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშების გამოყვანის შესახებ. პროფ. კოსმინსკიმ განაცხადა, რომ მან გამოიყვანა ოქროსფერი აბრეშუმის ჭიის ორი ჯიში სახელწოდებით „ო“ და „ბ“, რომლებიც დაავადებას უძლებენ. უკრაინის სადგურმა გამოიყვანა თეთრი ჯიში, რომელიც აგრეთვე უძლებს დაავადებას, ხოლო თბილისის ინსტიტუტმა — ორი ჯიში სახელწოდებით „ტბილნიიშ-1“ და „ტბილნიიშ-2“ საქართველოს რაიონებისათვის.

დიდი ინტერესი გამოიწვია ამხ. ჟვირბლისის (შუა აზიის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი) მოხსენებამ იმის შესახებ, თუ როგორ და რა მიმართულებით უნდა სწარმოებდეს აბრეშუმის ჭიის სელექცია. ამხ. ჟვირბლისის აზრით, ეს მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი აბრეშუმის ჭიის მიღებას, რომლის პარკიც ნედლეულის რაც შეიძლება მეტ გამოსავალს (ხვევადობას) მოგვცემს. თავისი მუშაობით მან უკვე მიაღწია პარკის ხვევადობას 90-95 პროცენტამდე იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივ იგი 70 პროცენტს არ აღემატება.

საქაბრეშუმტრესტის უფროსმა სელექციონერმა ამხ. ლობჟანიძემ თავისი მოხსენების პირველი ნაწილი საქართველოს მეაბრეშუმეობის ისტორიას მიუძღვნა, ხოლო შემდეგ ილაპარაკა აბრეშუმის ჭიის იმ ჯიშებზე, რომლებიც რეკომენდებულია რესპუბლიკის რაიონებისათვის.

O

მესამე სხდომა (8 დეკემბერს—კვირას) დაიწყო პიატიგორსკის მეაბრეშუმეობის სადგურის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ამხ. კარტაშევას მოხსენებით კავკასიისწინა ზოლისათვის საჭირო აბრეშუმის ჭიის ჰიბრიდების შესახებ.

სომხეთის რაიონებისათვის რეკომენდებულ ჰიბრიდებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ამხ. მარქარიანმა (ერევნის მეაბრეშუმეობის დასაყრდენი პუნქტი).

თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის მეაბრეშუმეებს სერიოზული პრობლემა დაუსახა სსრ კავშირის მიწსახკომის სახჯიშკომისიის თავმჯდომარემ ამხ. სვეტლოვმა. მან ილაპარაკა თუთის ხის აბრეშუმის ჭიისა და თუთის ხის ჯიშგამოცდის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მეაბრეშუმეობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სართავი ლაბორატორიის (მოსკოვი) ინჟინერი ამხ. იუროვეცკი და პროფ. ივანოვი (თბილისი).

უკრაინის სადგურის სწავლულმა მდივანმა ამხ. ზორინმა დამსწრეთ გაუზიარა თავისი კოლექტივის მუშაობის წარმატებანი.

შემდეგ მეაბრეშუმეობის საკვება ბაზის განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. მილიაევი (სსრ კავშირის მიწსახკომის მეაბრეშუმეობის განყოფილების უფროსი), ოსტროუხოვი (პიატიგორსკის სადგურის მეაბრეშუმეობის სექტორის გამგე) და კაფიანი (თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი).

უკანასკნელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. კასიანი, რომელმაც პიატიგორსკის სადგურის მაგალითის მიხედვით გვიჩვენა, თუ რა მჭიდრო კავშირი არსებობს მეცნიერებასა და წარმოებას შორის.

O

9 დეკემბერს გაცხოველებული კამათი მიმდინარეობდა ყველა მოსმენილ მოხსენებათა გამო. კამათში გამოვიდა 36 კაცი.

სსრ კავშირის მიწსახკომის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის აღმსრულებელმა პროფ. ავდონინმა განაცხადა, რომ მეაბრეშუმეობის დარგში მეცნიერება მნიშვნელოვნად ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების სხვა დარგებს. უნდა გამოვიყენოთ იმ ქვეყნების მეაბრეშუმეთა გამოცდილება, სადაც განსაკუთრებით არის განვითარებული სოფლის მეურნეობის ეს დარგი (იაპონია, იტალია). მეაბრეშუმეებს მეცნიერული კვლევის ერთიანი მეთოდიკა არ გააჩნიათ.

შინაარსიანი იყო „გლავშოლკსირიოს“ უფროსის, ამხ. მიხაილოვას გამოსვლა. მან განაცხადა, რომ მეაბრეშუმეებს მეცნიერება მჭიდროდ არა აქვთ დაკავშირებული წარმოებასთან. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებებმა ბევრი რამ ახალი მოგვცეს (აბრეშუმის ჭიის გამოკვების, თუთის ხის გაშენებისა და სხვა დარგში). მაგრამ საწარმოო მუშაკები ამას არ ახორციელებენ, რის გამო პარკის მოსავლიანობა მცირდება.

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. შჩენკოვმა აღნიშნა, რომ პარკის მოსავლიანობის შემცირებამ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში გავლენა მოახდინა აბრეშუმის მრეწველობის გეგმების შესრულებაზე. დაცული არ იყო აგროტექნიკა, პარკის ხარშვისა და ხმობის წესები, რის შედეგადაც ბაღდადის ჯიშის პარკის 53 პროცენტი წუნი აღმოჩნდა.

10 დეკემბერს დილიდან მუშაობა დაიწყეს სექციებმა.

12 დეკემბერს პლენარულ სხდომაზე სექციის ხელმძღვანელები თათბირს მოახსენებენ მუშაობის შედეგებს. (საქდესი).

## მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწყობა ესტონეთის სს რესპუბლიკაში

**ტალინი.** რესპუბლიკაში იქმნება მანქანა-ტრაქტორთა 15 სადგური. ამ სადგურებში იქნება 330 ტრაქტორი. ეწყობა კურსები დაახლოებით ათასი ტრაქტორისტის, მათ შორის სულ ცოტა 300 ქალის მოსამზადებლად. (საქდესი).

# ფართოდ ჩავაბათ საზოგადოებრიობა ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლაში

საბჭოთა კავშირში მრეწველობის, ქალაქებისა და მუშათა დაბების უაღრესად სწრაფი ზრდა და მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის განვითარება საბჭოთა სახანძრო დაცვისაგან მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას ხანძრების გაჩენისაგან სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვის საქმეში.

ცეცხლისაგან სოციალისტური სახალხო ქონების დაცვა თვითეული მოქალაქის ერთერთ უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს. ამ დიდსა და მნიშვნელოვან საქმეში, რომელსაც სახანძრო დაცვა ეწევა, მთავარსა და ძირითად როლს თამაშობს ხანძარსაწინააღმდეგო გამაფრთხილებელი ზომების გატარება როგორც ქალაქის მოსახლეობაში, ისე საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობაში, სადაც კი მასების მონაწილეობით შეიძლება ხანძრების გაჩენის ლიკვიდაცია და იმის მიღწევა, რომ ჩვენს ქვეყანაში ხანძრები სრულებით არ იყოს.

მასების ინიციატივა ამ საქმეში მეტად დიდია. ამას მოწმობს ნებაყოფილობითი სახანძრო საზოგადოებების შექმნა ისეთ მსხვილ ქალაქებში, როგორიცაა კიევი, ოდესა, ორიოლი, მიჩურინსკი, კრასნოიარსკი, ტომსკი და სხვ. ამ საზოგადოებათა დახმარებით სწარმოებს საცხოვრებელი ფონდის გამოკვლევა, საცხოვრებელ სახლებში, სამრეწველო საწარმოებში იქმნება სახანძრო დაცვის ხელშემწყობი უჯრედები, მოხალისე სახანძრო რაზმეულები, ქიმიური ცეცხლმქრობების დამმუხტველი სახელოსნოები, ეწყობა წარმოება წვრილი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარისა, რომლის საჭიროება, ისევე როგორც ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობისა, ძლიერ გაიზარდა და ბევრად აღემატება იმ რაოდენობას, რასაც იძლევა მრეწველობა. ამავე დროს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომელსაც სოფელ ადგილებში ხანძრების [illegible]

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 22 მარტის № 385 დადგენილებით და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 14 ნოემბრის № 2307 დადგენილებით დამტკიცებულია ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და მუშათა დაბების ნებაყოფილობითი სახანძრო საზოგადოებათა ტიპიური წესდება. ტიპიური წესდების თანახმად, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს წინადადება შიეცათ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად სათავეში ჩაუდგნენ ნებაყოფილობით სახანძრო საზოგადოებების შექმნას და ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ.

ნებაყოფილობითი სახანძრო საზოგადოების მუშაობა მიმართული იქნება მოსახლეობის სახანძრო-პროფილაქტიკური მომსახურების გაუმჯობესებისაკენ. სახანძრო საზოგადოება უშუალოდ მოჰკიდებს ხელს საცხოვრებელი ფონდის ხანძარსაწინააღმდეგო გამოკვლევას, საქალაქო სახანძრო რაზმებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გაჩენილი ხანძრების ქრობაში და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცოდნის ამაღლებას საჰაერო თავდაცვის საქმეში. იგი ფაბრიკებში, ქარხნებში, სახლთმმართველობებში, სკოლებში, სავაჭრო, კოოპერატიულ და ქალაქის სხვა დაწესებულებებში შეჰქმნის სახანძრო საზოგადოების უჯრედებს, აგრეთვე მოაწყობს ცეცხლმქრობებისა და სახანძრო მოწყობილობის შემმოწმებელ და შემკეთებელ სახელოსნოებს, ღუმელებისა და საკვამურების მწმენდავ გუნდებს, გამოსცემს თვალსაჩინო სახელმძღვანელოებს, პლაკატებსა და ლოზუნგებს ხანძრებთან ბრძოლის საკითხებზე. ტიპიური წესდების თანახმად, ნებაყოფილობითი სახანძრო საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს ყველა მოქალაქე, რომელსაც შესრულებული აქვს 18 წელი. მათ შეუძლიათ გაერთიანდნენ ცალკე [illegible]

ნებაყოფილობითი სახანძრო საზოგადოების სახსრები სდგება შესასვლელი გადასახადებისაგან 50 კაპ. რაოდენობით, ყოველწლიური საწევრო გადასახადებისაგან 1 მან. რაოდენობით, შექმნილ საწარმოო წამოწყებათა შემოსავლისაგან და აგრეთვე იმ თანხებისაგან, რომელთაც გამოჰყოფენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საქართველოს სსრ ფარგლებში ასეთი ფართო ამოცანებისა და არანაკლებ ფართო უფლებების მქონე ნებაყოფილობითი სახანძრო საზოგადოებების შექმნა აყენებს მათ თვალსაჩინო ადგილზე და სოციალისტური საზოგადოების მშენებელ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რიგებში. საბჭოთა კავშირის სახანძრო დაცვა სახანძრო საზოგადოებათა წევრების სახით მშრომელთა კოლოსალურ აქტივს იძენს. საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიცენტრებში და მუშათა დაბებში მოხალისე სახანძრო რაზმების შექმნაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ადგილებზე ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ სახანძრო დაცვის მუშაკებმა, რომლებიც მათი პირველი თანაშემწეები უნდა იყვნენ სახანძრო საზოგადოებათა მნიშვნელობის პროპაგანდის საქმეში და პრაქტიკულად უნდა უწევდნენ დახმარებას სახანძრო საზოგადოებათა ჩამოყალიბებასა და ხანძარქრობის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვაში.

პარტიულმა, კომკავშირულმა და სახანძრო მუშაკთა პროფესიულმა ორგანიზაციებმა უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თავიანთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სკოლებში, საცხოვრებელ სახლებში ნებაყოფილობით სახანძრო საზოგადოებათა უჯრედების შექმნაში, რისთვისაც ძირითად ბაზად გამოყენებულ უნდა იქნას უწყებათა თვით ადგილობრივი სახანძრო დაცვა.

**დ. მაღლაკელიძე**

საქართველოს სსრ შსკ სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

[illegible] ფოტო გ. [illegible] (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ხმელთაშუა ზღვისა და აფრიკის ფრონტზე

## საბერძნეთ-იტალიის ომი

**ათენი,** 9 დეკემბერი (საქდესი). საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: გუშინ ჩვენი ჯარი გააფთრებით იბრძოდა ფრონტის სხვადასხვა სექტორში. სრული წარმატების შედეგად საბერძნეთის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს ახალი მნიშვნელოვანი პოზიციები ალბანეთის ტერიტორიაზე.

**ბელგრადი,** 9 დეკემბერი (საქდესი). გაზეთ „პოლიტიკას“ ცნობით, ბერძნები ცდილობენ რაც შეიძლება მალე დაეუფლონ ელბასანისაკენ მიმავალ გზებს მდინარე შკუმბისა და დევოლის ხეობებში. მაგრამ შეტევის დროს საბერძნეთის ყველაზე ამტანმა ჯარისკაცებმაც კი ვერ გაუძლეს საშინელ სიცივეს კამნის მთების მწვერვალებზე, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ბრძოლა სწარმოებდა. მოსკოპოლეს სამხრეთით მაღლობზე 1.950, სოფელ კორშოვის მახლობლად, იტალიელებმა 5-ჯერ უშედეგოდ მიიტანეს იერიში და ყოველნაირად ცდილობდნენ გაერღვიათ საბერძნეთის ჯარის ფრონტი.

## ამერიკის თვითმფრინავები საბერძნეთისათვის

**ნიუ-იორკი,** 9 დეკემბერი (საქდესი). ინტერნეიშენელ ნიუს სერვისის სააგენტოს ცნობით, ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნება დართეს დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საბერძნეთს „კერტის — 13-40“ სისტემის 30 ავიაგამანადგურებელი.

## ომი აფრიკაში

**ლონდონი,** 9 დეკემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 8 დეკემბერს ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ ბენინის (დასავლეთი უდაბნო) აეროდრომს, სადაც მთლიანად დაიწვა ერთი ანგარი.

ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ადარდე (ერიტრეა). ყუმბარები საწყობებს შორის დაეცა, სადაც მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა.

ასმარაში მომხდარი თავდასხმის შედეგად ანგარებში ხანძარი გაჩნდა; ბურიეში (აბისინია) ცეცხლი გაუჩნდა საწვავი მასალის საწყობებს.

## იტალია უარყოფს

**ბერლინი,** 9 დეკემბერი (საქდესი). რომიდან მიღებული ცნობის თანახმად, გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ იტალიის სათანადო წრეები უარჰყოფენ საზღვარგარეთ გავრცელებულ ხმებს მილანსა, ფლორენციასა და ტრიესტში მომხდარი მღელვარების შესახებ, სადაც ვითომცდა მოკლულნიც და დაჭრილნიც კი არიან.

უარჰყოფენ აგრეთვე ლონდონის რადიოს მიერ გავრცელებულ ცნობას, რომ ინგლისის ავიაცია წარმატებით დაესხა თავს ბოლონიასა და მის ვაგზალს. ნამდვილად კი, როგორც რომის სათანადო წრეებში ამტკიცებენ, ბოლონიასა და მის მიდამოებზე საერთოდ არავითარი თავდასხმა არ მომხდარა.

## ანტირუმინული გამოსვლები უნგრეთში

**ბუდაპეშტი,** 9 დეკემბერი (საქდესი). რუმინეთში ომის ყოფილ მონაწილეთა დემონსტრაციების საპასუხოდ გუშინ ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის ფრონტელთა დემონსტრაცია. მთელს უნგრეთში თავი მოიყარა ფრონტელთა იმ კავშირის მრავალმა წარმომადგენელმა, რომელიც ნახევარ მილიონ წევრს აერთიანებს. ერთერთ კრებას დაესწრნენ სამხედრო მინისტრი ბარტა და სხვა სამხედრო მოღვაწენი.

ორატორები რუმინეთს ბრალად სდებენ ვენის გადაწყვეტილების დარღვევას, უნგრელთა დევნასა და სხვ.

„პეშტი ჰირლაპი“, კომენტარებს უკეთებს რა რუმინული გაზეთის „კუვინტულის“ ანტიუნგრულ სტატიას, სწერს: „თუ რუმინეთი აშკარად უპირისპირებს თავის თავს ღერძის გადაწყვეტილებებს, ამ შემთხვევაში უნგრეთი შეიარაღდება“.

## მდგომარეობა საფრანგეთის ინდო-ჩინეთში

**ნიუ-იორკი,** 9 დეკემბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ხანოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორმა დეკუმ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ინდო-ჩინეთისა და ტაის საზღვარზე არ არის მოსალოდნელი კონფლიქტის დაუყოვნებლივ მოგვარება. „საფრანგეთის პოზიცია, — აღნიშნა მან, — უცვლელი რჩება. ტაისთან მოლაპარაკებისათვის ახალი ნაბიჯები არ იქნება გადადგმული“. ინდო-ჩინეთის ხელისუფალთ განზრახული აქვთ შეინარჩუნონ სრული კონტროლი მოსაზღვრე რაიონებზე. ტაი გადაჭრით უარჰყოფს საფრანგეთის წინადადებას იმის შესახებ, რომ სასაზღვრო დავა გადასაჭრელად გადატანილ იქნას ნეიტრალურ კომისიაში. ტაის ყველა მოქალაქემ დასტოვა ინდო-ჩინეთი. ტაისა და ინდო-ჩინეთს შორის კავშირურთიერთობა შეწყვეტილია. სატელეგრაფო კავშირი არსებობს მხოლოდ სინგაპურის მეშვეობით.

**ნიუ-იორკი,** 9 დეკემბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ტაის ოთხმა თვითმფრინავმა 10 ყუმბარა ესროლა ქალაქ ვიენტიანს, არის ცნობები მდინარე მეკონგის ნაპირზე, ტაკეკის რაიონში ტაის დიდი ძალების კონცენტრაციის შესახებ. ქალაქ ტაკეკში სიმაგრეებს აგებენ. ინდო-ჩინეთის ჯარს ნაბრძანები აქვს არ ესტყოს სროლა მანამდე, სანამ თავს არ დაესხმებიან.

**ი. მორგოშია**

საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

# მეტი ყურადღება გეგმების შესრულებას

ორი დეკადა გვაშორებს 1941 წლის დასაწყისს. 1940 წელს საქართველოს სს რესპუბლიკამ თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. დიდი წარმატებანია მოპოვებული სამთამადნო მრეწველობაში, რომელმაც საგრძნობლად გაადიდა ქვანახშირის, მარგანეცის, ბარიტის, დიატომიტის, მოლიბდენის, დარიშხანისა და სხვა ლითონური და არალითონური მადნეულის ამოღება. ზოგიერთმა მოწინავე წარმოებამ წლიური გეგმა 11 თვეში გადაჭარბებით შეასრულა. მათ შორის გამოირჩევიან თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, ორჯონიკიძის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა და სხვ. საფეიქრო, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს პროდუქციის გამომუშავება. სამრეწველო სახალხო კომისარიატების მიერ გამოშვებული ნაწარმი 1940 წლის მეორე კვარტალში, პირველ კვარტალთან შედარებით, 120 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალში — 132 პროცენტით. გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

ეს მიღწევები შედეგია მშრომელთა ენტუზიაზმის ახალი უდიდესი აზვირთებისა, რაც გამოწვეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის და 10 ივლისის ბრძანებულებებით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე საწარმოებში გადაისინჯა სანარდო განაკვეთები და გამომუშავების ნორმები, რომელნიც ახლა მრეწველობის თითქმის ყველა დარგში გადაჭარბებით სრულდება. ასე, კვების მრეწველობაში გამომუშავების ახალი ნორმები ოქტომბერში შესრულებულ იქნა 126,3 %-ით, ხორცისა და რძის მრეწველობაში — 132,1 %-ით, სატყეო მრეწველობაში — 112,2 %-ით, საფეიქრო მრეწველობაში — 105,3 %-ით, მსუბუქ მრეწველობაში — 108,5 %-ით და სხვ.

გამომუშავების ახალი ნორმები ნოემბერშიც ასევე გადაჭარბებით არის შესრულებული.

შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, მრავალდაზგოსნობის ფართოდ დანერგვამ და სტახანოვური მოძრაობის გაშლამ მნიშვნელოვნად გაადიდეს შრომის ნაყოფიერება ჩვენს მრეწველობაში. მაგალითად, მაუდის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 18,6 %-ით, აბრეშუმის მრეწველობაში — 11,5 %-ით, ადგილობრივი მრეწველობის სამთამადნო დარგში — 30,3 %-ით, ავეჯეულობის წარმოებაში — 31,6 %-ით და ა. შ.

O

მრეწველობის პროდუქციის სწრაფი ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გეგმების გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, საქართველოს ზოგიერთი სამრეწველო კომისარიატი შესაფერისად ვერ გამოიყურება წლიური გეგმების შესრულების მხრივ. ასეთებია: ხე-ტყის, ხორცისა და რძის და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატები. გეგმების შესრულებაში შეუწყნარებლად ჩამორჩება საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემაც.

ხე-ტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა საერთო პროდუქციის გეგმა 1940 წლის პირველ სამ კვარტალში მხოლოდ 79 %-ით შეასრულა, ოქტომბრის გეგმა — 82,2 %-ით, ხოლო ნოემბრისა — 89,2 %-ით. თუ მიმდინარე წლის აგვისტომდე აღნიშნული მრეწველობა განიცდიდა სატრანსპორტო საშუალებათა სიმცირეს, სექტემბრიდან იგი ამ მხრივ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშაობის საკმარისი გაუმჯობესება ჯერ კიდევ არ სჩანს და ხე-ტყის მრეწველობა აშკარად წლიური გეგმების გარღვევის წინაშე იმყოფება.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ყოველგვარი საშუალება ჰქონდა გეგმები დროულად და გადაჭარბებით შეესრულებინა, მაგრამ მან მუშაობა ვერ გადააზალისა და 9 თვის საწარმოო პროგრამა 93 %-ით შეასრულა, ოქტომბრის გეგმა — 93,9 %-ით ხოლო ნოემბრისა — 98,3 %-ით. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ჩამორჩება არა მარტო საერთო პროდუქციის გეგმების შესრულებაში, არამედ, რაც მთავარია, პროდუქციის გამოშვების ხარისხობრივ მაჩვენებლებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ მსუბუქი მრეწველობა სისტემატურად არღვევს დაწესებულ ასორტიმენტს და უშვებს წუნდებულ საქონელს. ჯერ კიდევ ივლისის დამლევს მან გამოუშვა 2.380 ათასი მანეთის წუნდებული პროდუქცია. დროა მსუბუქი მრეწველობის ხელმძღვანელობამ ბოლო მოუღოს თავის სისტემაში არსებულ დამახინჯებებს და ახლებურად გარდაჰქმნას თავისი მუშაობა.

ხორცისა და რძის მრეწველობაში 9 თვის გეგმის შესრულება შეადგენს 60,6 %-ს, ოქტომბრისა — 91-ს, ნოემბრის კი — 68,9 %-ს ასეთი საგრძნობი ჩამორჩენა უმთავრესად აიხსნება ხორცის დამზადების გეგმის შეუსრულებლობით და, რაც მნიშვნელოვანია, რძის დამზადების მეტად სუსტი ორგანიზაციით. ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ერთად ყოველგვარი შესაძლებლობა მოეპოვებოდა გაეშალა მუშაობა და უზრუნველეყო გეგმების გადაჭარბებით შესრულება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რაც მის უმოქმედობას უნდა მიეწეროს. საჭიროა ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში მოახდინონ სერიოზული გარდატეხა მუშაობაში.

მიმდინარე წელს არც კვებისა და არც ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს მაინცდამაინც დიდი მიღწევები არა აქვთ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულებაში. მართალია, მათ მიიღეს მთელი რიგი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მაგრამ ზოგიერთ წარმოებაში შეუწყნარებელი ჩამორჩენა მაინც გრძელდება, მაგალითად კვების მრეწველობაში ჩამორჩება ლუდისა და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება, ხოლო ადგილობრივ მრეწველობაში — ყაზბეგის ანდეზიტის წარმოება, ახალციხის ქვანახშირის ამოღება და სხვ.

საქართველოს სამშენებლო მასალათა, მიმდინარე წელს საქართველოში აგურის წარმოებისათვის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები იყო, მაგრამ სამშენებლო მასალათა მრეწველობამ ვერც ხელსაყრელი პირობები გამოიყენა საკმაოდ.

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემაში გეგმების შეუსრულებლობა და წუნდებული პროდუქციის გამოშვება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან სისტემის მომარაგება ნედლეულით მკვეთრად გაუმჯობესდა, გეგმების შესრულებაში ჩამორჩენა მაინც გრძელდება. ოქტომბერში დავალება მხოლოდ 70,9 პროცენტით იყო შესრულებული, ხოლო ნოემბერში—85,4 პროცენტით. 11 თვის განმავლობაში საქართველოს სარეწაო კოოპერაციამ რესპუბლიკას დააკლო 57,6 მილიონი მანეთის (1932 წლის ფასებში) ფართო მოხმარების საქონელი.

ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

1940 წლის მეოთხე კვარტალის გეგმების დამტკიცებისას საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ყველა სახალხო კომისარიატს მიეღოთ გადამწყვეტი ზომები იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომელთაც დააბრკოლეს 9 თვის გეგმების შესრულება და დაესახათ სათანადო ღონისძიებანი გეგმების შესრულებაში ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, მაგრამ, როგორც შესრულების შემოწმებამ გვიჩვენა, ოქტომბერში სამრეწველო სახალხო კომისარიატების უმრავლესობას ეს მითითება განაღდებული არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ სახკომსაბჭოს 14 ნოემბრის სხდომაზე მიეთითა მსუბუქი და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამმართველოს და სარეწაო კოოპერაციას.

ჩამორჩენას გეგმების შესრულებაში ნოემბერშიც ჰქონდა ადგილი.

როგორც გამოირკვა, გეგმების შეუსრულებლობა უმთავრესად გამოწვეული იყო სუსტი ხელმძღვა- [illegible] ვით და სხვ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ცალკეულ საწარმოებს გააჩნიათ მასალების თვალსაჩინო მარაგი დაწესებული ნორმის ზევითაც კი. მაგალითად, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა მარაგი, რომელიც ნორმას აღემატებოდა, 3.877 ათას მანეთს შეადგენდა, ხორცისა და რძის მრეწველობაში — 1.260 ათას მანეთს, საფეიქრო მრეწველობაში — 4.139 ათას მანეთს, მსუბუქ მრეწველობაში (მარტო სამკერვალო მრეწველობის ხაზით) — 1972 ათას მანეთს, სატყეო მრეწველობაში — 2.100 ათას მანეთს, კვების მრეწველობაში — 2.546 ათას მანეთს და ა. შ.

ხელფასის ფონდებში მთელ რიგ სახალხო კომისარიატებს მნიშვნელოვანი გარღვევები აქვთ. ასე, მსუბუქ მრეწველობაში ხელფასის გადახარჯვა 1940 წლის 9 თვის განმავლობაში 1384 ათას მანეთს შეადგენდა, კვების მრეწველობაში — 494 ათას მანეთს, ხოლო ადგილობრივ მრეწველობაში — 445 ათას მანეთს.

საწარმოთა მუშაობაში დიდ უარყოფით მომენტს წარმოადგენს მოწყობილობათა და მუშახელის გაცდენა, რაც კვლავ გრძელდება და ამცირებს შრომის ნაყოფიერებას. მაგალითად, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში გაცდენები ოქტომბერში არა თუ შემცირდა, არამედ 14018 კაც-საათამდე გაიზარდა, ნაცვლად ივნისის 6.738 კაც-საათისა, სატყეო მრეწველობაში — სათანადოდ 7144, ნაცვლად 1589, ხორცისა და რძის მრეწველობაში — 4982, ნაცვლად 2791.

გაცდენების ასეთი დიდი რაოდენობა უნდა მიეწეროს ჩვენი საწარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ნაკლოვანებებს, რომელნიც მნიშვნელოვნად ამცირებენ სამუშაო დროის სრულად გამოყენების ეფექტს და ძლიერ აფერხებენ გეგმების შესრულებას. მაგალითად, გეგმების შესრულებაში მეტად ჩამორჩებიან მარელისის ავეჯეულობის ფაბრიკა (ნოემბრის გეგმა მხოლოდ 42,8 %-ით შესრულა), ახმეტის ხე-ტყის საჩეხი ქარხანა, ხაშურის აგურის ქარხანა, ძეგვის კირის ქარხანა, საქართველოს მინერალური წყლები (ნოემბრის გეგმა 45,1 %-ით შესრულა), ტუნგოს ზეთის ქარხანა, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკები № 1, 2 და 3, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა № 5, ბათუმის მომთუთიებელი ქარხანა და სხვ.

საჭიროა საწარმოების ხელმძღვანელებმა შეიგნონ მათზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა და ბოლშევიკური ბრძოლა გააჩაღონ გაცდენებისა და გადახარჯვების წინააღმდეგ, ნედლეულისა და მასალების დასაზოგად, შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო გასადიდებლად, შრომის სტახანოვური მეთოდების ფართოდ გამოსაყენებლად წარმოების ყველა უბანზე. ამასთან აუცილებელია შევისისხლხორცოთ წარმოების ორგანიზაციის კულტურა და ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ სოცშეჯიბრებას.

O

კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმა მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის მხოლოდ 71,8 %-ით არის შესრულებული.

პირველი ოქტომბრისათვის კაპიტალური მშენებლობის გეგმა ჩაისა და ღვინის მრეწველობაში შესრულებული იყო მხოლოდ 37,5 %-ით. ჯერ კიდევ არ არის ამუშავებული ორპირისა და მაღლაკის ჩაის ფაბრიკები, ჩაის საწნეხი ფაბრიკა ზუგდიდში, დაუმთავრებელია ნარაზენისა და ლაითურის ფაბრიკების მეორე რიგის მშენებლობა; ძლიერ ჩამორჩენილია გურჯაანისა და წინანდლის ღვინის ქარხნების, ღვინის პირველადი გადამმუშავებელი საწარმოების, თბილისის ხორცკომბინატის საძეხვე საამქროს, მუსიკალური ინსტრუმენტების კომბინატის მშენებლობა. სუსტად მიმდინარეობს კაპიტალური მშენებლობა საქართველოს წყალთა მეურნეობის ხაზით და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

კაპიტალურ სამუშაოთა ჩამორჩენა, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება სახალხო კომისარიატების, უწყებებისა და ორგანიზაციების უყურადღებობით, თვით სამშენებლო ორგანიზაციების უსულგულო მუშაობით და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სუსტი ყურადღებით მათ რაიონებში წარმოებული მშენებლობისადმი.

ჩაის, მეღვინეობის, ადგილობრივი მრეწველობისა და წყალთა მეურნეობის დარგებში ჩატარებულმა შემოწმებამ გამოავლინა სამშენებლო მოედნებზე სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცია და არსებული მექანიზმების სუსტი გამოყენება (საქკვებმშენი, საქქარხმშენი), მასალების, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების დროს მანევრირების უგუნურობა, მშენებლობის არასაკმაო უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებით, საჭაპანო ტრანსპორტის გამოუყენებლობა, გამოყოფილი სამშენებლო მასალების (როგორც ფონდირებული, ისე ადგილობრივი) არადამაკმაყოფილებელი რეალიზაცია და რეალიზებული მასალების არაეკონომიური ხარჯვა, სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ცუდი ხარისხი, სამუშაოების შეუწყნარებლად გაჭიანურება და სხვ. მაგალითად, ავჭალის ჩაის საწონი ფაბრიკა, რომლის მშენებლობა სანიმუშოდ უნდა ყოფილიყო შესრულებული და დროულად დამთავრებული, ჯერ კიდევ არ არის ამოქმედებული. კვებმშენის დაუდევარი მუშაობის შედეგად რამდენჯერმე იქნა დარღვეული ფაბრიკის ამუშავების დრო. შესრულებული სამუშაოებიდან გამოსაცვლელი შეიქნა პარკეტის იატაკი 150 კუბური მეტრის რაოდენობით, ცემენტის იატაკი 200 კუბურ მეტრზე, მოზაიკის იატაკი 29 კვადრატულ მეტრზე, ქსილოლითის იატაკი 100 კვადრატულ მეტრზე და ა. შ.

ჩამორჩენები როგორც წარმოების, ისე კაპიტალური მშენებლობის დარგში უსათუოდ უნდა აღმოიფხვრას. მართალია, სამეურნეო წლის დამთავრებამდე ცოტა ხანი დარჩა, მაგრამ ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. უნაყოფოდ არცერთი წუთი, არცერთი საათი არ უნდა დავკარგოთ. ამჟამად ყოველგვარი შესაძლებლობა მოგვეპოვება მუშაობის უკეთ გაშლისათვის და დანაკლისების შესრულებისათვის, განსაკუთრებით წარმოების დარგში.

საჭიროა თვითეულმა მუშაკმა ღრმა ანალიზი გაუკეთოს მუშაობის ჩამორჩენას თავის უბანზე და მიიღოს გადამწყვეტი ზომები სოციალისტური სამშობლოს წინაშე თავისი ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის.

## პარტიული ცხოვრება

# გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი

(ზუგდიდი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

საქ. ალკკ ზუგდიდის რაიკომმა რამდენადმე გააუმჯობესა პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, რის შედეგადაც კომკავშირის ორგანიზაციის რიგები საგრძნობლად გაიზარდა. ამჟამად ზუგდიდის რაიონში 5 ათასამდე კომკავშირელია, საიდან ათასზე მეტი კაცი მიღებულია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

მთელი რიგი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფელ რუხის ბერიას სახელობის, ინგირის, ორსანტიის და სხვა კოლმეურნეობათა პირველადს ორგანიზაციებზე. აღნიშნულ ორგანიზაციებში ამაღლდა კომკავშირელთა ავანგარდული როლი წარმოებაში, გაუმჯობესდა პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობაც.

მაგრამ ამავე დროს რაიონში მოიპოვებიან კომკავშირის ისეთი პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც ძველებური სტილით მუშაობენ. მათ სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებებიდან. სოფელ შამგონის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს. აქ კომკავშირელები ვერ იჩენენ ავანგარდულ როლს საკოლმეურნეო მუშაობაში. მაგალითად, კომკავშირელ ი. ჭადარიას პირველი იანვრიდან დღემდე გამომუშავებული აქვს 12 შრომადღე, ხ. ბარტავოლს — 19, ფ. გაბუნიას — 14; ეს არასასურველი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ კომკავშირის კომიტეტი (მდივანი — მაწყაროზია) სუსტად მუშაობს, არ იხილავს სამეურნეო საკითხებს.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ გრიგოლიშის გ. როგავას სახელობის და სოფელ აბასთუმნის კოლმეურნეობათა კომკავშირულ ორგანიზაციებშიც. რაიონის 3 კოლმეურნეობაში არ არსებობს პირველადი პარტიული ორგანიზაცია, მაგრამ ამ კოლმეურნეობებში საკმაოდ ძლიერი კომკავშირული ორგანიზაციებია, რომელთაც შეუძლიათ სათანადო დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობათა გამგეობებს სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. კახათის, ორულუს, ხურჩას და მთელი რიგი სხვა სოფლების საკოლმეურნეო ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ, არ მონაწილეობენ სამეურნეო საქმიანობაში, არ სახავენ ღონისძიებებს კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამომჟღავნებისა და გამოსწორებისათვის. ზუგდიდის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა უმართებულოდ აიღო ხელი კომკავშირისათვის დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაწევაზე. მაგალითად, სოფელ აბასთუმნის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. ლ. გაბისონიას წარმოდგენა არა აქვს ამავე კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაზე. ის თავს არ იწუხებს იმისათვის, რომ დაესწროს კომკავშირის კრებებს, გულისხმიერი დახმარება გაუწიოს კომკავშირს მუშაობაში და სხვ.

სუსტად ეხმარება კომკავშირის ორგანიზაციას სოფელ დარჩელის „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციაც, ამის შედეგად ამავე კოლმეურნეობაში არსებული კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს (მოუწესრიგებელია კომკავშირული მეურნეობა, სუსტია კომკავშირელთა დისციპლინა).

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია კომკავშირისადმი ნაკლებ მზრუნველობას იჩენს. მართალია, პარტრაიკომის ბიურომ მიმდინარე წელს რამდენჯერმე განიხილა კომკავშირის მუშაობის ცალკეული საკითხები, მაგრამ ცალკეული პირველადი ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის. ამ მხრივ ზუგდიდის რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზული მუშაობის გაწევა მართებთ. გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი.

**აქ. ქვარცხავა**

# საქართველოს კ. პ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წ. 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:**

არტემ მიხეილის-ძე **პაჭკორია**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2167258 —როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; გრიგოლ სამსონის-ძე **ხუხია**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ., საკანდიდატო ბარათი № 2157765 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ვალერიან მიხეილის-ძე **გვილავა**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ. საკანდიდატო ბარათი № 1683706 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ამბროსი იულონის-ძე **ხეცურიანი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წ., პარტბილეთი № 3301870 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; იოსებ პლატონის-ძე **ბერაია**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წ., პარტბილეთი № 2851696— როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ვასილ ათანასეს-ძე **ბელქანია**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ., საკანდიდატო ბარათი № 2157775 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის; შოთა ლუკას-ძე **გოგვაძე**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ., საკანდიდატო ბარათი № 2166915 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის; არჩილ ვასილის-ძე **ლალუაშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წ., პარტბილეთი № 2840061 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული შრომის დისციპლინის დარღვევისათვის; გიორგი ივანეს-ძე **მებაღიშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წ., საკანდიდატო ბარათი № 1672201—როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ვლადიმერ არჩილის-ძე **ნოზაძე**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წ., პარტბილეთი № 2854609 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ალექსი ივანეს-ძე **უხულადიშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1921 წ., პარტბილეთი № 1541430 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული შაშხანის უკანონოდ შენახვისათვის; ისაკ გიორგის-ძე **დუნდუა**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წ., პარტბილეთი № 1531867 — როგორც მსჯავრდადებული თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის; ალექსანდრე ივანეს-ძე **ჩიჩუკაშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ., საკანდიდატო ბარათი № 2165498—პარტიის წინაშე თავისი წარსულის დაფარვისათვის და როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; არტო ალექსის-ძე **ათაბეგაშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წ., პარტბილეთი № 2853414 — როგორც მსჯავრდადებული ქურდობისათვის; ნინო ტიმოთეს-ასული **ნათიძე**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ., საკანდიდატო ბარათი № 2166482 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის.



კადრი ფილმიდან „იაკობ სვერდლოვი“, რომელსაც სდგამს „სოიუზდეტფილმის“ კინოსტუდია. რსფსრ დამსახურებული არტისტი მ. შტრაუხი ვ. ი. ლენინის როლში, რსფსრ დამსახურებული არტისტი ლ. ლუბაშევსკი იაკობ სვერდლოვის როლში. (საქდესის ფოტოქრონიკა)

# „იაკობ სვერდლოვი“

„...თუ გადავავლებთ თვალს პროლეტარული რევოლუციის ამ ბელადის ცხოვრების გზას, მაშინვე შევნიშნავთ, რომ მისი შესანიშნავი ორგანიზატორული ტალანტი ხანგრძლივი ბრძოლის ვითარებაში გამომუშავდა, რომ პროლეტარული რევოლუციის ამ ბელადმა თავისი ყოველი შესანიშნავი თვისება დიდი რევოლუციონერისა გამოსჭედა თვითონვე, განიცადა და გამოსცადა რა სხვადასხვა ეპოქები რევოლუციონერის მოღვაწეობის ყველაზე უფრო მძიმე პირობებში. თავისი მოღვაწეობის პირველსავე პერიოდში, ჯერ კიდევ მთლად ჭაბუკი, განიმსჭვალა თუ არა პოლიტიკური შეგნებით, ის ერთბაშად და მთლიანად ჩაება რევოლუციაში“.

ამ დიდებული დახასიათებით, რომელიც გმირ რევოლუციონერს მისცა დიდმა ლენინმა, იწყება ფილმი „იაკობ სვერდლოვი“ სერიიდან „შესანიშნავი ბოლშევიკების ცხოვრება“, რომლის დადგმა დაამთავრა კინოსტუდიამ „სოიუზდეტფილმმა“.

კადრში შემოდის ნიჟნინოვგოროდის ბაზრობა, სადაც მაყურებელი ეცნობა ვაჭრებს, მოხელეებს, პოლიციელებს და სხვადასხვა ექსპლოატატორების გარემოს. ბაზრის ერთ კუთხეში აღმართულია მაღალი ბოძი, რომლის კენწეროზე ჩექმებია ჩამოკიდებული. ვინც ზედ აცოცდება და ჩექმებს ჩამოიღებს, უკანასკნელი ჯილდოდ მას მიეცემა. ბოძზე ასვლა ათი შაური ღირს. ახალგაზრდები მიცოცავენ, მაგრამ კენწერომდე ვერ აღწევენ და ძირს ცვივიან. ბოლოს ადის ერთი ახალგაზრდა გლეხი, რომელიც ჩექმას ხელით ეხება, მაგრამ ჯილდოს არ აძლევენ. ხალხი, რომელიც ამ სანახაობას უცქერის, აღშფოთებულია. მაყურებლების წრეს არღვევს ენერგიული ჭაბუკი. იგი სწრაფად აცოცდება ბოძზე, ხსნის ჩექმებს და გადასცემს იმ ახალგაზრდას, რომელიც მას ხელით შეეხო. უკვე ეს მცირე შტრიხიც საკმარისია იმისათვის, რომ განვიცადოთ ბოლშევიკის მგზნებარე, სამართლიანობისათვის მებრძოლი ჭაბუკი, ეს ჭაბუკი ი. მ. სვერდლოვია. ამ შემთხვევას ესწრება ა. მ. გორკი. მან იცის, რომ ი. სვერდლოვი არალეგალურ მუშაობაშია ჩაბმული, და უსაყვედურებს გაუფრთხილებლობას. ამხ. სვერდლოვს მიჰყავს გორკი ერთ სარდაფში, რომლის პატრონი ჰყიდის ახალ საბეჭდ დაზგას და შრიფტს.

ასე უბრალოდ შევყევართ ფილმს ი. მ სვერდლოვის არალეგალური ბოლშევიკური მუშაობის კურსში. ეს მუშაობა აღსავსეა თავგანწირულობით, გმირობითა და გამბედაობით პარტიის საქმისათვის, ლენინის და სტალინის დავალებათა შესრულებისათვის. ჟანდარმერიის „შპიკების“ გარემოცვაში ის ახერხებს რევოლუციური იდეების პროპაგანდას, პარტიულ ორგანიზაციების ჩამოყალიბებას და განმტკიცებას.

სოციალისტური პარტიების თათბირია. მათი ორგანიზატორების—ესერების—სურვილის წინააღმდეგ კრების თავმჯდომარედ „ამხანაგ ანდრიას“ (ი. სვერდლოვს) ირჩევენ. ის მიდის პრეზიდიუმში, გამოსტაცებს ზარს ვიღაც ესერს და თვითონ უძღვება კრებას. ეს ჟესტი გვაგონებს იმ სახსოვარ დღეს, როცა ი. მ. სვერდლოვმა 1918 წლის იანვარში დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან სიტყვა ჩამოართვა ესერების ლიდერს და გამოაქვეყნა მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია.

ფილმში უხვად არის ნაჩვენები სვერდლოვის ბრძოლის სხვა ეპიზოდებიც. ჟანდარმერია და პოლიციის მაძებრები რევოლუციონერს სდევნიან ფეხის ყოველ გადადგმაზე—ნოვგოროდში, პერმში, ეკატერინბურგში. ის მოხერხებულად გაურბის „შპიკებს“, აწყობს არალეგალურ კრებებს, მაგრამ ბოლოს მაინც აპატიმრებენ.

სვერდლოვი გადასახლებაშია. ტაიგაში, პოლარული წრის გადაღმა მხარეში, იგი ხვდება დიდ სტალინს. აქ ტყეში მათ ცეცხლი დაუნთიათ და თევზს ხარშავენ, თან მეგობრულად საუბრობენ. მათი ფიქრები ისწრაფიან შორს, საზღვარგარეთ, იქ, სადაც რევოლუციას ამზადებს, მუშაობს და იბრძვის დიდი ლენინი. აქვე ისინი ერთად სწერენ წერილს მასწავლებელს. გულითად საუბარში ამხანაგი სტალინი გააცნობს მას ცნობილ ქართულ ანდაზას

„ვაჟკაცსა გული რკინისა
აბჯარი თუნდა ხისაო“..!

რომელიც თითქო მათზეა ნათქვამი, მათ ფოლადის გულზე, რომელიც ვერ გასტეხა ვერც დევნამ და ვერც გადასახლებებმა. მათი მაორგანიზებელი როლი მოსჩანს პარტიის ყოველ საქმეში. ისინი ყველგან რაზმავენ მასებს დიდი რევოლუციისათვის — ციხეში და ციხის გარეთ, გადასახლებაში და გადასახლებიდან გამოქცევის დროს.

1917 წლის აპრილია. ფინლანდიის ვაგზალზე ჩამოდის დიდი ლენინი. მის გვერდით არიან დიდი სტალინი და მისი თანამებრძოლი ი. მ. სვერდლოვი. ჯავშნოსანი მანქანიდან გაისმის ილიჩის მჭექარე მოწოდება სოციალისტური რევოლუციისაკენ.

შემდეგ ოქტომბრის რევოლუცია. სვერდლოვი ლენინ-სტალინის პარტიის მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებს. ის პირველი თავმჯდომარეა საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. ის ამუშავებს საბჭოთა სახელმწიფოს პირველ კონსტიტუციას. იწყება სამოქალაქო ომი და სვერდლოვი იგზავნება კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაუღალავად, მთელი თავისი ენერგიით იბრძვის პროლეტარული რევოლუციის ეს ბელადი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განსამტკიცებლად. ყველა მის საქმეში გამოსჭვივის ბელადის დამახასიათებელი სახე, რომლის შესახებ დიდი სტალინი სწერდა:

„არიან ადამიანები, პროლეტარიატის ბელადები, რომლებზედაც არ ხმაურობენ პრესაში, შეიძლება იმიტომ, რომ თვითონ მათ არ უყვართ თავის თავზე ხმაური. მაგრამ რომლებიც, მიუხედავად ამისა, რევოლუციური მოძრაობის ...ნამდვილი ხელმძღვანელნი არიან. ასეთ ბელადთა რიცხვს ეკუთვნის ი. მ. სვერდლოვი.

ორგანიზატორი სულით ხორცამდე, ორგანიზატორი ბუნებით, ჩვევებით, რევოლუციური აღზრდით, ალღოთი, ორგანიზატორი მთელი თავისი მგზნებარე მოღვაწეობით,—ასეთია ი. მ. სვერდლოვის ფიგურა“.

და ამ დახასიათების ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ფილმი „ი. სვერდლოვი“. დიდ ბოლშევიკურ საქმიანობაში იფურჩქნება ბოლშევიკი ბელადის სიცოცხლე. პარტიის VIII ყრილობის დღეებში „პრავდა“ იტყობინება თავზარდამცემ ამბავს ი. მ. სვერდლოვის გარდაცვალების შესახებ. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობს სიტყვას მისი ხსოვნის აღსანიშნავად, აჯამებს მის დიდ ცხოვრებას, რომელმაც მაყურებლის წინაშე ეკრანზე ჩაიარა.

ასე მთავრდება ფილმი.

სცენარის ავტორებმა მწერლებმა ბ. ლევინმა და პ. პავლენკომ, როგორც ამხ. ე. იაროსლავსკი „პრავდაში“ აღნიშნავს, ძირითადად შესძლეს ბოლშევიკის ამ რთული ცხოვრების სწორი ასახვა. მათი მხატვრული განაზრახი სწორად განახორციელა რეჟისორმა ს. იუტკევიჩმა.

ფრიად საყურადღებოა ეს ფილმი აქტიორული შესრულების თვალსაზრისითაც. ი. მ. სვერდლოვის როლს ასრულებს რსფსრ დამსახურებული არტისტი ლ. ლიუბაშევსკი; ვ. ი. ლენინის როლში გამოდის ცნობილი მსახიობი მ. შტრაუხი, ი. ბ. სტალინის როლში — რუსთაველის თეატრის მსახიობი ა. კობალაძე, ა. მ. გორკის როლში—მსახ. პ. კადოჩნიკოვი, ფ. ე. ძერჟინსკის როლში—მსახ. ვ. მარკოვი. წარმატებით თამაშობენ მსახიობებიც ნ. კრიუჩკოვი (ტროფიმოვი), ი. ფედოტოვა (ზინა), ნ. ოხლოპკოვი (შალიაპინი) და სხვ.

ფილმს „იაკობ სვერდლოვს“, რომელსაც დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, სიამოვნებით ნახავს საბჭოთა მაყურებელი. იგი კიდევ უფრო განიმსჭვალება პროლეტარული რევოლუციის ამ ბელადისადმი პატივისცემით, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი სიყვარულით, მისი საქმისათვის უსაზღვრო ერთგულების წმინდა გრძნობით.

## ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში

**ქუთაისი,** (საქდესი). დაიწყო მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია. მოსკოვიდან მაიაკოვსკის ოჯახიდან, მალე მიღებულ იქნება ნივთები, რომლებიც პოეტის მამას ეკუთვნოდა.

დიდი მუშაობა სწარმოებს მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის მოსაწყობად. სახლ-მუზეუმის დირექტორი ამხ. კოლოსკოვი პოეტის თანამედროვეთა ოჯახებს დაუახლოვდა, სადაც ბევრი საინტერესო მასალა შეაგროვა.

სოფელ როკითში მცხოვრებმა გიორგი აბულიძემ, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა პოეტის ოჯახთან, თავისი მდიდარი მოგონების გარდა, მუზეუმს გადასცა პოეტის მამისა და მის თანამედროვეთა ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია 1905 წელს, აგრეთვე 50-ზე მეტი წიგნი, მათ შორის მარქსისა და ენგელსის ნაშრომები, რომლებიც ეკუთვნოდა ვლადიმერ მაიაკოვსკის.

## ბიბლიოგრაფია

# „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ფართოდ გაიდგა ფესვები ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დიდი მოღვაწეები ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი გ. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ან. ფურცელაძე და სხვები. იმ ხანებში წიგნების გამოცემას აღნიშნული მოღვაწეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ, მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, მოწინავე იდეების ხალხთან მიტანის მთელი სიმძიმე დააწვა პერიოდულ პრესას. იმ დროის ჟურნალ-გაზეთებმა „დროებამ“, „სასოფლო გაზეთმა“, „კრებულმა“, „ივერიამ“ მთელი ეპოქა შექმნეს ქართული ჟურნალისტიკის და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. ქართულმა პერიოდიკამ ეს ტრადიცია დღევანდლამდე შეინარჩუნა. ჩვენი პრესა მთლიანად ასახავს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას. ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს ქართულ პრესას წარსული ცხოვრების შესწავლისას.

მეცხრამეტე საუკუნის ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები არც ისე თავსაყრელად გვაქვს. მთელი რიგი ჟურნალები და გაზეთები უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ და მხოლოდ დიდ წიგნსაცავებში იპოვება. საჭირო მასალის მოძებნა ამ ჟურნალ-გაზეთებში დიდ დროს მოითხოვს მკვლევარისაგან. ჩვენ დღევანდლამდე არ გაგვაჩნდა ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველ ცდას — „ქართულ ბიბლიოგრაფიას“, რომელიც შეადგინეს პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებული ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრებმა. ეს „ბიბლიოგრაფია“ გამოვიდა 1916 წელს და იგი შეიცავს ჩვენი პერიოდიკის მიმოხილვას 1852-1910 წლებში. რასაკვირველია, ამ „ბიბლიოგრაფიას“ ბევრი დეფექტი აქვს. იგი არ არის სრული, ბევრი მასალა ან სულ არ არის, ანდა არასწორად არის აღნიშნული.

საბიბლიოგრაფიო მუშაობაში ამ ხარვეზის შევსება განიზრახა საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკამ. მან გადასწყვიტა გამოსცეს „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, რომლის პირველი ტომი უკვე გამოვიდა.

პირველი ტომი ეხება 1852-1877 წლებს. მეორე ტომი, რომელიც შედგენილია და გადაეცა სტამბას, შეიცავს პერიოდს 1877-1893 წლები. მესამე ტომი, რომლის შედგენაზე ახლა მიმდინარეობს მუშაობა, შეიცავს ჩვენში მარქსიზმის ჩასახვისა და პირველი რევოლუციის პერიოდს — 1893-1905 წ. წ.

„ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ მდიდარ მასალას აძლევს მკვლევარს და ათავისუფლებს მას რთული და ხანგრძლივი შრომისაგან — მასალის კომპლექტებში ძებნისაგან. „ბიბლიოგრაფიაში თემატურად არის დალაგებული მასალები. ამავე დროს წიგნს დართული აქვს ცალკე საძიებლები (პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და სხვ.). წიგნი ისეა შედგენილი, რომ მით თავისუფლად ისარგებლებს არა მარტო სპეციალისტი მკვლევარი, არამედ ყოველი მკითხველი.

ამ შრომის შედგენაში დიდი მუშაობა ჩაატარეს საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტის მუშაკებმა თამარ მაჭავარიანმა, ნ. ნადირაძემ, ტ. მელაძემ და წიგნის რედაქტორმა დოც. გ. აბზიანიძემ.

წიგნი შეიცავს 280 გვერდს, ჩასმულია კარგ ყდაში და ღირს 15 მანეთი

**გრ. ნუცუბიძე**

# ს. შანშიაშვილი—„ლექსები და პოემები“

გამომცემლობა „ფედერაცია“, 1940 წ. 211 გვერდი. ფასი ყდით 16 მან. 50 კ.

ს. შანშიაშვილის ახალ კრებულში „ლექსები და პოემები“ მოთავსებულია 11 ლექსი და 6 პოემა. ლექსების დიდი ნაწილი უკანასკნელ წლებშია დაწერილი. ამ კრებულში მოთავსებულია: ლექსები — „იოსებ სტალინს“, „ბელადისადმი“, „ქარიშხალში ანთებული“, „ეპოქის ძეგლი“, „ჩვენი დროშა სტალინია“, „მადლობა სტალინს“, „დედისერთა ლენინთან“, „თევდორე ჯუღაშვილი“, „სტალინის სახე“, „ილიასადმი“ და „სიტყვა შოთას“, პოემები—„ოცნების მხარეს“, „დემეტიკა“, „იასონ და რენო“, „ოქროს ვერძი“, „მედია“ და „ქალი გრძნეული“. წიგნში მოთავსებულია უკანასკნელი წლების ისეთი ლექსები, როგორც „მადლობა სტალინს“, რომელიც დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლების ერთერთ სურათს აგვიწერს. ამავე წიგნშია ს. შანშიაშვილის ცნობილი ლექსი „დედისერთა ლენინთან“, რომელსაც ხშირად კითხულობენ დეკლამატორები სცენაზე. კარგი იქნებოდა, რომ წიგნს დართული ჰქონდეს სტატია ს. შანშიაშვილის შემოქმედებაზე.

# ადამ მიცკევიჩის ნაწარმოებნი ქართულ ენაზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია“ აქვეყნებს გამოჩენილი პოლონელი მწერლის ადამ მიცკევიჩის ნაწარმოებთა კრებულს ქართულ ენაზე. კრებულში შევა მწერლის ყველა სონეტი და მისი ცნობილი ლექსები „პარიზი“ და „რუს მეგობრებს“. სონეტები და ლექსები პოლონურიდან ქართულად სთარგმნა მწერალმა იასამანმა.

კრებულში, რომელსაც რედაქტორობს პოეტი ვ. გაფრინდაშვილი, დაბეჭდილია იასამანის სტატია — „ადამ მიცკევიჩის ცხოვრება და შემოქმედება“. (საქდესი).

# ი. ფრანკოს თხზულებათა სამტომეული ქართულ ენაზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ქართულ ენაზე გამოსცემს დიდი უკრაინელი მწერლის, ივანე ფრანკოს თხზულებათა სამტომეულს. პირველ ტომში, რომელსაც საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია“ გამოუშვებს, შევა ი. ფრანკოს პოეზია. მწერლის პოეტურ ნაწარმოებთა თარგმანის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ს. ჩიქოვანს და ს. ეულს. მეორე ტომში შევა ი. ფრანკოს პროზაული ნაწარმოებნი. ამ ტომს სახელგამი გამოსცემს. მესამე ტომს, რომელშიაც ფრანკოს საბავშვო ნაწარმოებნი შევა, გამოსცემს საქართველოს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა. (საქდესი).

# „საუკუნის დაბადება“

**ბათუმი,** (საქდესი). მწერალი პარმენ ლორია სწერს რომანს—„საუკუნის დაბადება“. ამ რომანში ასახულ იქნება ამხანაგ ი. ბ. სტალინის პირველი ჩამოსვლა ბათუმში, არალეგალური მუშაობა, მაშინდელი მუშების მდგომარეობა, გაფიცვები, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების ჩატარების პერიოდები და ჩვენი დღეები.

რომანი გამოვა სამ წიგნად, მას გამოსცემს აჭარის სახელგამი. პირველი წიგნი გამოვა 1941 წელს.

---

**ე. ნ. გოგოხიძე**

აჭარის რევოლუციის მუზეუმის საორგანიზაციო ბიუროს მეცნიერი მუშაკი

# ბათუმის საბარიკადო ბრძოლების 35 წლისთავი

მეფის ხელისუფლებისა და კაპიტალისტების მიერ დამონებული ბათუმის მუშები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ.

სრულიად - რუსეთის პოლიტიკურმა გაფიცვამ შეარყია მეფის მთავრობა. მეფემ მანიფესტი გამოსცა. ბოლშევიკებმა გამოუშვეს მიმართვა, რომელშიც ჰგმობდნენ მანიფესტს, როგორც უბადრუკ მიგდებულ ლუკმას, და ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ მუშებს.

შეგნებულ მუშებს კარგად ესმოდათ, რომ ბოლშევიკები სიმართლეს ამბობდნენ, რომ მეფის მანიფესტი მახეს წარმოადგენდა.

დამახასიათებელია ქართველი მენშევიკების გამოსვლა, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ მეფის მანიფესტს და აშკარად მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს განიარაღებისაკენ: „ამიერიდან თვითმპყრობელობა აღარ არსებობს, თვითმპყრობელობა მოკვდა... ჩვენ არ გვინდა იარაღი, ძირს იარაღი!“ — ასე ატყუებდნენ მენშევიკები ხალხს.

ხალხის მტრების, მოღალატე მენშევიკების გამოსვლას ღირსეული პასუხი გასცა ამხანაგმა სტალინმა, რომელმაც თავის სიტყვაში სთქვა: „რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ... პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე — შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება“. (ლ. ბერია. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. გვ. 80).

ამხანაგი სტალინი, ხელმძღვანელობდა რა კავკასიის კავშირის კომიტეტს, ცხოვრებაში ატარებდა რსდმპ III ყრილობის დადგენილებას შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შეიარაღებული აჯანყების ტექნიკური მომზადებისა და რევოლუციური არმიის აღზრდის შესახებ ლენინის გენიალურ მითითებათა განხორციელებას.

ბათუმის მუშებს, რომლებიც ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე 1901-1902 წ. წ. აღზრდილი იყვნენ ამხანაგ სტალინის მიერ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით, მიუხედავად მენშევიკების პროვოკაციებისა და ღალატისა, ვაჟკაცურად ეჭირათ რევოლუციური ბრძოლის დროშა.

დიდი რუსეთის პროლეტარიატის მოწოდებით ისინი ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის ბოლშევიკურ ტაქტიკას. მათ მოაწყეს საყოველთაო გაფიცვა 1905 წლის ოქტომბერში, ამხილეს მეფის სატრაპი გენერალ-გუბერნატორი ფონ-პარკაუ, დაიწყეს შეიარაღებული აჯანყების მომზადება, იცოდნენ რა, რომ თავისუფლების დაპირება ლიტონი სიტყვაა, სანამ ძალაუფლება ცარიზმის ხელშია. ამ მზადებაში მათ უშუალო დახმარებას უწევდა ამხანაგი სტალინი, რომელიც პირადად ჩადიოდა ბათუმში და მათ დასახმარებლად თბილისიდან მოწინავე მუშებს გზავნიდა.

ბათუმის მუშებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით წაუყენეს გუბერნატორს მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ბათუმიდან გაეყვანა ყაზახები, დაეთხოვნა და სამართალში მიეცა ის მოხელეები, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ ხალხის მიმართ ძალადობაში, მოეხსნა სამხედრო წესები, გაეთავისუფლებინა პოლიტ-პატიმრები და შეეწყვიტა პოლიტიკური მოღვაწეობისათვის დევნა. ბათუმის ოლქის გუბერნატორმა უარჰყო მუშების მოთხოვნები და მიმართა კავკასიის მთავარმართებელს თხოვნით გამოეწვია ოდესიდან სამხედრო გემი მოსალოდნელი აჯანყების ჩასაქრობად.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის დირექტივის თანახმად ბათუმის მუშებმა ოქტომბრის დამლევს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს. მუშაობა არსად არ სწარმოებდა, რკინიგზაზე მიმოსვლა შეწყდა. ყველა სავაჭრო პუნქტი დაკეტილი იყო.

გაფიცულების ტერორქვეშ დაყენების მიზნით ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა ფონ-პარკაუმ მოაწყო რბევა, რის შედეგადაც საავადმყოფოში მიიტანეს მოკლულნი და მიიყვანეს რამოდენიმე დაჭრილი. მოსახლეობის არაორგანიზებული ნაწილი ბათუმის მუშების ხელმძღვანელობით იარაღდებოდა. ბოლშევიკები უხსნიდნენ მშრომელ მასებს ოქტომბრის მანიფესტის სიყალბეს და მოუწოდებდნენ მათ შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ბათუმის მოწინავე მუშებსა და მშრომელ მასებს კარგად ესმოდათ შეიარაღებული აჯანყების შესახებ მოწოდების მნიშვნელობა.

„ჩვენ არაფერს არ უნდა ველოდეთ თვითმპყრობელობისაგან, — სწერდა პროკლამაციაში ამხანაგი სტალინი, — გარდა ტყვიებისა და მათრახებისა. ჩვენ არაფერს არ უნდა ველოდებოდეთ სახელმწიფო სათათბიროსაგან, გარდა მთავრობის გამაგრებისა!“ (ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები, გვ. 152-153).

ამხანაგ სტალინის გენიალური სიტყვები, რომლებიც ოქროს ასოებით იყო ჩაწერილი პროკლამაციაში, გულის სიღრმემდე სწვდებოდა ბათუმელ მუშებს და აღაფრთოვანებდა მათ საგმირო საქმეებისათვის, შეიარაღებული აჯანყებისათვის.

მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები და ბათუმელი მენშევიკები, შეიარაღებული აჯანყებით დამფრთხალნი, აწყობდნენ სალამოებს მეფის სატრაპ ფონ-პარკაუსთან და ატყობინებდნენ მას, თუ რა მუშაობა სწარმოებდა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

ნოემბერში ბათუმის მუშები, სტალინური რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდილნი, აგროვებდნენ იარაღს, იარაღს ჰყრიდნენ პოლიციელებს, ჟანდარმებსა და ყაზახებს, აიარაღებდნენ მოსახლეობას, ადგენდნენ რაზმებს 30-50 კაცის შემადგენლობით, რომლებიც თავს ესხმოდნენ პოლიციელებსა და ყაზახებს, იარაღს ჰყრიდნენ მათ და ა. შ.

აი რას ამბობს თავის მოგონებებში ყოფ. მანთაშევის ქარხნის მუშა ილარიონ დარახველიძე: „1905 წელს კავკასიის კომიტეტისაგან ჩვენ სისტემატურად ვღებულობდით დიდი სტალინის მიერ დაწერილ პროკლამაციებს, რომლებიც შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოგვიწოდებდნენ. ამასთან ერთად ჩვენ გავეცანით კავკასიის კავშირის კომიტეტის IV კონფერენციის გადაწყვეტილებებს“.

როგორც ცნობილია ამ „კონფერენციამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი შეიარაღებული აჯანყების, როგორც ხალხის განთავისუფლების ერთადერთი საშუალების აუცილებლობას“... (ლ. ბერია. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 82).

ბათუმის პროლეტარიატი მოუთმენლად მოელოდა რუსეთის საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას. და ამ დროს ბათუმის პოლიცია და ბათუმელი მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ მუშათა რაზმების განადგურებას და შეიარაღებული აჯანყების თავიდან აცილებას.

ბათუმის პოლიცია და გუბერნატორი ეძებდნენ საბაბს, რათა პროვოკაციის გზით გამოეწვიათ ხალხის ხოცვა-ჟლეტა.

ამ მიზნით გოროდოვოის შვილს — ჯაშუშ გლახუნა ურუშაძეს ჩააგონეს ქუჩაში ყაზახისათვის თოფი წაერთმია, რაც გუბერნატორმა ფონ-პარკაუმ იმის საბაბად გამოიყენა, რომ მხეცურად გასწორებოდა მშვიდობიან მოსახლეობას.

მომხდარი ამბების თაობაზე ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში 1905 წლის 2 დეკემბერს თავის მოხსენებაში სწერდა:

„29 წარსულ ნოემბერს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე, ლაბინსკის ყაზახთა ცხენოსანი პოლკის ორ ყაზახს ქ. ბათუმში უცნობმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შაშხანები წაართვეს, ცხენიდან თავდასხმით. როცა ყაზახებმა მომხდარი ამბის შესახებ თავიანთ უფროსებს მოახსენეს, გაიგზავნენ ყაზახები შაშხანებისა და ბოროტმოქმედთა მოსაძებნად, ამ ძებნის დროს ყაზახებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის სროლა ასტყდა“ (აჭარის რევოლუციის მუზეუმის საორგანიზაციო ბიუროს არქივი ფ. № 2, საქ. 157).

ცხადია, ყოველივე ეს მოწყობილი იყო პოლიციის მიერ, და ამ საბაბით 1905 წლის 29 ნოემბერს საღამოს ხანჯლებით დახოცეს 9 მუშა, ხოლო ბევრი მძიმედ დასჭრეს. გარდა ამისა, ქუჩებში ყაზახები ჩააყენეს, დაიწყეს მოსახლეობის ჩხრეკა და მიმართეს ტერორს მის წინააღმდეგ. ამან აიძულა ბათუმის მშრომელნი შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ ყაზახებისათვის. მუშებმა იარაღი იშოვეს. აი რას სწერს ამის თაობაზე ბათუმის ოლქის გუბერნატორი თბილისში გენერალ შირინკინს:

„30 ნოემბერს ადგილობრივ შეიარაღებულ მცხოვრებთა ბრბო— დაახლოებით 500 კაცი—თავს დაესხა სადგურს, გაძარცვა სადგურის უფროსი, ჟანდარმები, მებარგეები, დარაჯები, ხელთ იგდო იარაღი, ქალაქში მოაწყო ბარიკადები, დაგლიჯა ტელეგრაფის, ტელეფონის ხაზები, მოაწყო ქალაქისა და სადგურის მოსამსახურეთა გაფიცვა. ციხე-სიმაგრეში გამოცხადებულია საალყო წესები“. (აჭარის რევოლუციური მუზეუმის საორგანიზაციო ბიუროს არქივი. ფ. № 2, საქ. 153).

29 ნოემბერს ბათუმის ქუჩებში უკვე მზად იყო ბარიკადები, საიდანაც შეიარაღებულმა მუშებმა ყაზახებს თოფის სროლა და ყუმბარის ტყორცნა აუტეხეს. აი რას სწერს ამის შესახებ ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში 1905 წ. 2 დეკემბერს:

„29 იმავე ნოემბერს, დაახლოებით დილის 10 საათზე, ქუჩებში გამოჩნდნენ შეიარაღებული ადგილობრივი მცხოვრებლები და დაიწყეს ქუჩებში ბარიკადების კეთება. ლორის-მელიქოვისა და ერისთავის ქუჩების კუთხეში ტერაკოტოვის სახლის სახურავიდან გადმოაგდეს ყუმბარა, რომელიც გასკდა და ნამსხვრევებმა დასჭრა ხოპიორის მე-130 პოლკის ერთი პრაპორშჩიკი დუნდუკი და 3 ჯარისკაცი. ამის გამო ასტყდა სროლა ჯარისკაცებსა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. იყვნენ მოკლულნი და დაჭრილნი“ (აჭარის რევოლუციის მუზეუმის საორგანიზაციო ბიუროს არქივი. ფ. № 2, საქ. 157).

ამრიგად, ქალაქის მუშები და მოსახლეობა თავს იცავდნენ ცარიზმის ადგილობრივი სატრაპების მიერ ლაბინსკის პოლკის ყაზახების ხელით მოწყობილი ხოცვა-ჟლეტისაგან.

ამ დროს, როდესაც მუშები ბარიკადებზე იბრძოდნენ, მენშევიკებმა კარლო ჩხეიძისა და სხვების სახით, აგრეთვე ქალაქის თავმა ანდრონიკაშვილმა იკისრეს გუბერნატორსა და შეიარაღებულ მუშებს შორის შუამავლის როლი. ისინი იმედოვნებდნენ ამ გზით დაერწმუნებინათ ხალხი ხელი აეღო შეიარაღებულ აჯანყებაზე, შერიგებოდა მთავრობას.

მენშევიკები ცდილობდნენ შესაძლებლობა მიეცათ მთავრობისათვის მოეგო დრო და მოეკრიბა ძალღონე აჯანყებულთა გასანადგურებლად. ამავე დროს მათ გადასწყვიტეს გაეგზავნათ თავისი წარმომადგენლები კავკასიის მთავარმართებელთან, რათა მას სათანადო ზომები მიეღო. ასეც მოიქცნენ და თბილისში გაგზავნეს ანდრონიკაშვილი, ვოლსკი და სხვები, რომლებმაც მთავარმართებელს ფართო ინფორმაცია მიაწოდეს ბათუმში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ბათუმის მუშები და მშრომელი მასები, ამხანაგ სტალინის მიერ რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდილნი და გამობრძმედილნი, მამაცურად იბრძოდნენ ბარიკადებზე, მაგრამ, მენშევიკების ღალატის, გუბერნატორის რეპრესიებისა და პროვოკაციების მეოხებით, მთავრობამ შესძლო აჯანყების ჩაქრობა. მან შესძლო დროზე გამოეყვანა ყაზახები, გაემაგრებინა ქუჩები, თავს დასხმოდა მოსახლეობას და დაემარცხებინა აჯანყებულნი. ამის გამო აჯანყებულნი იძულებულნი გახდნენ 30 ნოემბერს საღამოს უკან დაეხიათ, იარაღი დაემალათ და დაშლილიყვნენ, რათა მეორეჯერ სრულიად-რუსეთის პროლეტარიატთან ერთად უფრო მომზადებულნი გამოსულიყვნენ იერიშზე ცარიზმის წინააღმდეგ.

◆

# ინგლის-გერმანიის ომი

## დიუსელდორფზე თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

**ლონდონი,** 9 დეკემბერი (საქდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს ინფორმაციის განყოფილება გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს, თუ როგორ დაესხნენ თავს დიუსელდორფს ინგლისის ყუმბარმშენები 7 დეკემბერს, ღამით. ინგლისის პირველი თვითმფრინავები ქალაქის თავზე გამოჩნდნენ დაახლოებით საღამოს 7 საათზე. მათი თავდასხმის ობიექტი იყო ბრძმედები და გემის ქვაბების, პროპელერებისა და სარკინიგზო მასალის მწარმოებელი ქარხანა. თვითმფრინავების მიერ ჩამოყრილმა ცეცხლგამჩენმა ყუმბარებმა ოთხ ადგილას გამოიწვიეს ხანძარი, რასაც ორი ძლიერი აფეთქება მოჰყვა. დიუსელდორფზე თავდასხმა ერთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ამ თავდასხმის დროს ჩამოყრილ იქნა მსხვილი ყალიბას დაახლოებით 4.000 ცეცხლგამჩენი და მრავალი ფუგასური ყუმბარა.

ინგლისის მძიმე ყუმბარმშენთა მეორე შენაერთმა ყუმბარები დაუშინა მანესმანრერენვერკეს დიდ სამხედრო ქარხანას, რომელიც 3 დეკემბრის ღამის თავდასხმის დროს უკვე მნიშვნელოვნად იქნა დაზიანებული. დაახლოებით საღამოს 9 საათზე ჩვენმა ავიაციამ ყუმბარა დაუშინა დიუსელდორფის შიდა ნავსადგურს. აქ ბევრ ადგილას გაჩნდა ხანძარი, რასაც ძლიერი აფეთქება მოჰყვა. გარდა ამისა, თავს დავესხით ქალაქის საგაზო ქარხანას, რომელიც ქალაქის საწარმოთა უმრავლესობას ენერგიას აწვდის. ამ ოპერაციებიდან ბაზაში არ დაბრუნებულა ინგლისის ორი თვითმფრინავი.

## ინგლისური გაზეთები ინგლისის სავაჭრო ფლოტის ზარალის შესახებ

**ლონდონი,** 9 დეკემბერი (საქდესი). გაზეთ „ობსერვერის“ სამხედრო-საზღვაო მიმომხილველი აცხადებს, რომ ინგლისის სავაჭრო ნაოსნობის ზარალი კვლავ მეტად დიდია. როგორც მიმომხილველი აღნიშნავს, ოთხი კვირის განმავლობაში — 28 ოქტომბრიდან 24 ნოემბრამდე — მტრის წყალქვეშა ნავებმა მოსპეს ინგლისის კუთვნილი და ინგლისის მიერ დაფრახტული მრავალი უცხოური გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 323.209 ტონას უდრიდა. „ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, — სწერს მიმომხილველი, რომ ასეთი ოდენობით ინგლისის სავაჭრო გემების მოსპობა შემდეგში აღარ შეიძლება მოთმენილ იქნას. ეს, მართლაც, ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც ინგლისის მთავრობას გადასაწყვეტი აქვს. რამდენადაც იმ სიძნელეთა ძირითად მიზეზს, რომლებსაც ინგლისის სავაჭრო ნაოსნობა ამჟამად განიცდის, საბადრაგო ხომალდების ნაკლებობა წარმოადგენს, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სავაჭრო ნაოსნობის ოდენობის დროებით შემცირება მანამდე, სანამ ჩვენ ვერ შევძლებთ მის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფას“.

ინგლისმა დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, — სწერს გაზეთ „სანდეი ტაიმსის“ მიმომხილველი, რომ მას ამჟამად ყველაზე მეტად ესაჭიროება თვითმფრინავების, გემებისა და ყოველგვარი საომარი მასალის მიწოდება, რაც ინგლისს ხელს შეუწყობს უზრუნველჰყოს თავისი სავაჭრო ნაოსნობის საკმაოდ დაცვა.

## „სანდეი ტაიმსის“ საავიაციო მიმომხილველი საჰაერო ომის პერსპექტივების შესახებ

**ლონდონი,** 9 დეკემბერი (საქდესი). გაზეთ „სანდეი ტაიმსის“ საავიაციო მიმომხილველი სწერს, რომ, როგორც მოსალოდნელია, ინგლისი და გერმანია 1941 წლის გაზაფხულზე მნიშვნელოვნად გააფართოვებენ საჰაერო ომს. ამასთან დაკავშირებით, მიმომხილველი მოითხოვს, რომ დაჩქარდეს ინგლისის ახალი ტიპის თვითმფრინავების მშენებლობა. ამჟამად გერმანელები მიზნად ისახავენ სავსებით დაუკარგონ ინგლისს ომის წარმოების უნარი. ჰფიქრობენ, რომ გერმანიის ავიაცია ამის მიღწევას სამი მეთოდით ცდილობს: პირდაპირი ფრონტალური იერიშის მიტანით ინგლისის სამრეწველო საწარმოებსა და ნავსადგურებზე, ბლოკადით, რომლის მიზანიც იქნება ინგლისის სავაჭრო ფლოტის, განსაკუთრებით ინგლისსა და ამერიკას შორის მოსიარულე გემების მოსპობა, სამხედრო ოპერაციებით აღმოსავლეთში. მიმომხილველი სწერს, რომ ფრონტალური იერიშების დროს, რაც კონცენტრირებული ღამის თავდასხმების ფორმით ტარდება, გერმანია, როგორც სჩანს, გამოიყენებს დაახლოებით 1.200 თვითმფრინავს, რომლებსაც ბაზები საფრანგეთისა და ჰოლანდიის ტერიტორიებზე აქვთ. ამას გარდა, ამ თავდასხმებში მონაწილეობას მიიღებს იტალიის დაახლოებით 300 თვითმფრინავი, რომელთა აეროდრომები ბელგიაში მდებარეობს. გაზაფხულზე, განაგრძობს მიმომხილველი, მტერი, ალბათ, ერთსადაიმავე დროს გააჩაღებს თავის ოპერაციებს ყველა შესაძლო ფრონტზე.

ინგლისს, განაგრძობს მიმომხილველი, ახლა სჭირდება ახალი ტიპის თვითმფრინავების დამზადება ისე, როგორც არასოდეს. ინგლისის „ჰარიკეინის“ და „სპიტფაირის“ ტიპის თვითმფრინავები, გაუმჯობესებული ტიპის თვითმფრინავებიც კი, რომლებსაც კარგი საბრძოლო ხარისხი აქვთ, ახლა უკვე მოძველებულია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მალე საქმე გვექნება მტრის ახალი ტიპის თვითმფრინავებთან.

შემდეგ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ წელს გამოყენებულ იქნება ახალი ტიპის თვითმფრინავები, რომელთა სერიული წარმოება უკვე მიმდინარეობს ან რომლებიც დაპროექტებული იყო ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინათ. სამწუხაროდ, შენიშნავს მიმომხილველი, ამჟამად არ არსებობს ისეთი საბუთი, რომელიც საკმაოდ მოწმობდეს, რომ ინგლისის მთავრობის წრეები ყოველივე ღონეს ხმარობენ ახალი ტიპის თვითმფრინავების დასაპროექტებლად, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნებათ იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ ინგლისის გამარჯვება ომში.

## ინგლისის პასუხი საფრანგეთის პროტესტზე

**ნიუ-იორკი,** 9 დეკემბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ინგლისის ელჩმა ჰოარმა საფრანგეთის მადრიდელ ელჩს პიეტრის გადასცა ინგლისის პასუხი მარსელის ბომბარდირებასთან დაკავშირებით საფრანგეთის მიერ განცხადებულ პროტესტზე. არსებული ცნობებით, ინგლისის პასუხში დადასტურებულია საფრანგეთის ნოტის მიღება და ნათქვამია, რომ სწარმოებს კვლევა-ძიება. თუ გამოირკვევა ინგლისელთა პასუხისმგებლობა ამ ბომბარდირებისათვის, მაშინ ინგლისი მზად არის მიყენებული ზარალი აანაზღაუროს.

## ინგლისელების მიერ გემთსაშენების აგება ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი,** 9 დეკემბერი (საქდესი). „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, რომ ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა ააგოს ორი გემთსაშენი შეერთებულ შტატებში დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამ გემთსაშენ ქარხნებში იწარმოებს სატვირთო გემების აწყობა შეერთებულ შტატებში დამზადებული ნაწილებისაგან. ინგლისელებს იმედი აქვთ, რომ პირველი გემები ათი თვის შემდეგ იქნება აშენებული. გემთმფლობელთა წრეებში კი ჰფიქრობენ, რომ ეს გემები მხოლოდ ერთი წლის შემდეგ აშენდება. ამ გემებს ექნებათ 10 ათასი ტონა წყალწყვა და 10 კვანძი სისწრაფე.

## საფრანგეთის გზათა სტატსმდივნის განცხადება

**ნიუ-იორკი,** 9 დეკემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის გზათა სტატს-მდივანმა ბერტელომ განაცხადა, რომ ქვანახშირის გადატანა არაოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებში ძალიან გაძნელებულია იმის გამო, რომ გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა რეკვიზიცია უყვეს რკინიგზების მოძრავი შემადგენლობის მნიშვნელოვან ნაწილსა და ბევრ კარჭაპს.

ბერტელოს სიტყვით, ანტისანიტარულ პირობებთან დაკავშირებით, მიღებულია გადაწყვეტილება დაიხუროს ლტოლვილთა ერთი ბანაკი და მოხდეს მეორე ბანაკის რეკონსტრუქცია. ამავე დროს ბერტელომ უარჰყო ცნობა, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში ხოლერის ეპიდემია გაჩნდა.

## გერმანიის ყუმბარმშენთა ახალი ტაქტიკა

**ბერლინი,** 9 დეკემბერი (საქდესი). როგორც გერმანულ წრეებში იუწყებიან, 8 დეკემბერს, ღამით, მოხდა დიდი თავდასხმა ლონდონზე, რომლის დროს გამოყენებულ იქნა ბრძოლის ახალი ტაქტიკა. ჯერ ყუმბარმშენთა მცირე ჯგუფი, რომელმაც გამორთული მოტორებით დიდ სამაღლეზე ფრენით მიაღწია ლონდონს, უხმაუროდ დაეშვა დაბლა 30 მეტრ სიმაღლემდე საპროჟექტორო ნაწილთა და საზენიტო ბატარიების გასანადგურებლად. შემდეგ ეს თვითმფრინავები შესცვალეს უამრავ ყუმბარმშენთა სხვა შენაერთებმა. მათ 700 ათასი კილოგრამი ფუგასური და 80-დან 100 ათასამდე კილოგრამი ცეცხლგამჩენი ყუმბარა დააყარეს ქალაქს.

სტალინური კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი ველომარულა. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნით): სტაერი მ. გაგნიძე და ლიდერი სსრ კავშირის ჩემპიონი გ. ლეჟავა, რომლებმაც სრულიად-საქართველოს 2 რეკორდი დაამყარეს; შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

## საბჭოთა ესტრადის დეკადა

„ესტრადა ერთ ადგილზე დგას!“ — ასეთი შეფასება მისცა ცნობილმა კომპოზიტორმა დუნაევსკიმ საბჭოთა ესტრადის დეკადის პირველ კონცერტს მოსკოვში, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი ესტრადელები. ძირითადად ეს შეფასება მართებულია საერთოდ ყველა ესტრადის თეატრისათვის. ბრწყინვალე წარმატებებით ვერც საქართველოს ესტრადის მსახიობები დაიკვეხნიან, თუმცა ერთგვარი წინსვლა, გაუმჯობესება ჩვენს ესტრადას მაინც ეტყობა. საქმე იმაშია, რომ ნახევარი წლის წინ, როცა საქესტრადის ხელმძღვანელობა განახლდა, საესტრადო საქმე ჩვენში მეტად ჩავარდნილი იყო. ყურადღება არ ექცეოდა ახალი კადრების გამოვლინებას, ახალი რეპერტუარის შექმნას. მრავალწლობით გრძელდებოდა ერთიდაიმავე ნომრის კითხვა. არც ნომრის გაკეთებაში ეხმარებოდა ვინმე მსახიობს. შესრულების დონეს რომ თავი დავანებოთ, ჩვეულებრივ გარეგან დეკორუმსაც არ იცავდა ზოგიერთი მსახიობი.

საქესტრადის ხელმძღვანელობამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა ესტრადის შემდგომი აღმავლობისათვის. დაარსდა ჯაზ-ორკესტრი, გამოვლინდა ახალი კადრები, დაიწყო მუშაობა ნომრების მოსამზადებლად, ახალი რეპერტუარის შესაქმნელად. დაწყებული მუშაობა მთლიან გამოხატულებას ვერ ჰპოვებს საბჭოთა ესტრადის დეკადის კონცერტებში, რადგან მცირე დროის განმავლობაში ვერ მოხერხდა ყველა ღონისძიებათა გატარება. გაცილებით უფრო შესამჩნევ გარდატეხას საქესტრადა გვპირდება საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისათვის.

რა მოგვცა ახალი საბჭოთა ესტრადის დეკადის 8 და 9 დეკემბრის კონცერტებმა?

უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა ახალი ძალების გამოჩენა. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ ახალგაზრდა მომღერლები ბ. ვადაჭკორია, ვ. ლიაშჩენკო, მ. შილდელი, ანდრონიკაშვილი, ნ. კარჩიკიანი, გიტარისტი ვლ. გიორგაძე და სხვ. გაძლიერებულია გ. ვარდიაშვილის ტრიო, რომელშიაც ახლა მონაწილეობენ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობები ე. აღნიაშვილი და ნ. ტოგონიძე. მათმა „იავნანამ“ და „წითელფლოტელთა სიმღერამ“ საერთო მოწონება მოიპოვა.

ორ სარეცენზიო საღამოს მონაწილეთაგან აღვნიშნავთ შესრულებისა და წარმატების მხრით მერი ნაკაშიძეს, ო. ფოლიძეს, მ. ყვარელაშვილს, ვ. ლიაშჩენკოს, პ. ჰიჰინაძეს, ბ. ვადაჭკორიას, ვოლოვიჩ-ზეიცს. ე. სატინას, დუბენსკის ი. შილდელს, ვ. მიაკოთევას, ფ. ქანთურიას, ა. იაიჩკინას, ვ. გიორგაძეს, ნ. კარჩიკიანს, ანდრონიკაშვილს, დ. უშვერიძეს, პაარეს, ა. ყურბანოვს, რ. ტაგიევასა და ბეიროუთოვას, ა. ელიკაშვილს, ჩიქვილაძე-გიორგობიანს და სხვ. მაგრამ ვერც კარგი ხმა, ვერც კარგი შესრულება ვერ იხსნის ესტრადის მსახიობს, თუ მისი რეპერტუარი მოძველებული და ერთფეროვანია. რეპერტუარის განახლების მხრით კი კონცერტის ყველა მონაწილეს უნდა ვუსაყვედუროთ. ავიღოთ ცეკვა. ბაღდადური, ოსური, მთიულური—რაც არ უნდა კარგი იყოს შესრულება, მაინც მოგწყინდება ერთიდაიგივე. გ. გავაშელმა თუმცა შეასრულა ახალი ცეკვები (მთიულური თოფით, საკოლმეურნეო), მაგრამ სუსტად. ბ. ვადაჭკორია კარგი შემატებაა ესტრადისათვის, მაგრამ არა აქვს რეპერტუარი. „ჩემთან ასული“, „მშვენიერთა ხელმწიფევ“, „შეგიშრობ ცრემლსა“, „ურმული“, „ვარსკვლავიანსა ღამეს“, „ტურფავ, გეტრფი“, — ეს რომანსები გვესმის ყოველ კონცერტზე მრავალი წლის განმავლობაში და სარეცენზიო კონცერტებზეც ქართული რომანსებიდან მხოლოდ ეს მოუნახავთ. სად არის საბჭოთა კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებები? ამ მხრით უკეთ გამოიყურებოდნენ რუსულ ენაზე მომღერლები. მ. შილდელმა შეასრულა ფომინის რომანსები, ვ. ლიაშჩენკომ საინტერესოდ იმღერა ფერკელმანის სახასიათო სიმღერები. ძველ რეპერტუარს ისე მაგრად აქვს ფესვები გადგმული, რომ პაარემაც კი წაიკითხა უძველესი სცენები—„ლენინაკანის სადგურზე“ და „სტუდიაში“.

ჟანრების შეზღუდულობაც უნდა ვუსაყვედუროთ საქესტრადას. არ არის აკრობატული და სახასიათო ცეკვები, გარდა კავკასიურისა, არ მონაწილეობს ჯაზ-ორკესტრი, ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრიც არ არის გამოყენებული, ვერ ვხედავთ სპორტულ ნომრებს, ილუზიონისტებს, ინსტრუმენტალისტებს (გარდა სალამურისა), სკეტჩებს. ზოგიერთი ნომერი უფრო ფილარმონიული ხასიათისაა, ვიდრე ესტრადისა.

ასეთია პირველი ორი საესტრადო კონცერტი. შემდეგი კონცერტი შესდგება 12 დეკემბერს. პროგრამაშია მეჩონგურეთა ანსამბლის გამოსვლა ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით და ქართლ-კახური გუნდის გამოსვლა მ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით.

**გ. რიონელი**

## კურორტ ფსირცხის ზამთრის სეზონი

**სოხუმი,** (საქდესი). კურორტი ფსირცხა ჯანმრთელობის ერთერთი შესანიშნავი კერაა შავი ზღვის სანაპიროზე.

წლის დამდეგიდან 1 დეკემბრამდე კურორტის მარტო სანატორიუმებში 8.500-ზე მეტი კაცი ისვენებდა და მკურნალობდა. ამას გარდა, ტურისტთა ბანაკში რამდენიმე ათეულმა ტურისტმა გაიარა.

ამჟამად კურორტზე ისვენებს დაახლოებით 600 კაცი—მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველები, წითელი არმიის მეომრები და მეთაურები, მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ა. ს. სულაბერიძე.

ზამთრის სეზონს კურორტი სავსებით მომზადებული შეხვდა. № 3 სანატორიუმსა და სანატორიუმ „აფხაზეთში“ სეზონისათვის გახსნილია აერომოედნები, მოწყობილია დასვენებისა და გართობის 4 საზამთრო ოთახი, ორი ფოტოლაბორატორია დამსვენებელთათვის, საკურსო საგზურებით ჩამოსულთათვის აგებულია 20-ოთახიანი სასტუმრო, წყლით სამკურნალოსთან მთავრდება დამატებითი კაბინების რემონტი.

მიღებულია ზომები საკუთარი სასურსათო ბაზის შესაქმნელად. კურორტისათვის საბოსტნეებად გუდაუთის რაიონში გამოყოფილია 40 ჰექტარი მიწა; აქვე მოეწყობა სარძეო ფერმა და სხვ.

## ავტომანქანა „მ—1“-ის მოგება

ამ დღეებში თავდაცვა-ავიაქიმის XIV საკავშირო ლატარიის ბილეთების მოგებათა შემმოწმებელს სოხუმის კომისიაში მოქალაქე ევგენი სერგეის-ძე ლიმანსკიმ შესამოწმებლად წარადგინა ლატარიის 31667 სერიის № 19 ბილეთი, რომელსაც მოუგია ავტომანქანა „მ—1“.

## ველომარულა

სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად ბერიას სახელობის ველოდრომზე შესდგა ველომარულა.

პირველ სასპრინტერო გარბენაში 1 კილომეტრზე გაიმარჯვა კორენეცკიმ („სპარტაკი“). საგზაო მანქანების სასპრინტერო მარულაში გამარჯვება მოიპოვა ვიდელეევმა („დინამო“). შემდეგ შესდგა მარულა დაბრკოლებებით; ამ გარბენაში პირველი ადგილი დაიკავა პოპერეჩნიმ („დინამო“).

საინტერესოდ ჩაიარა აირწინაღებით გარბენამ, რომელშიც გაიმარჯვა ზაიცევმა („დინამო“). დიდ სპორტულ ინტერესს წარმოადგენდა იტალიური მარულა 6 წრეზე. სტარტზე გავიდა ორი გუნდი. პირველის შემადგენლობაში შედიოდნენ ველოსიპედისტები ლევიცკი, ზაბაჯანოვი და გუნია. მეორე გუნდში — კორენეცკი, თაფლიაშვილი და ბაქრაძე. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მიესაჯა პირველ გუნდს.

შემდეგ ჩატარდა სასტაერო მარულა 15 და 20 კილომეტრზე. სრულიად-საქართველოს ორი ახალი რეკორდი დაამყარა სპორტსმენმა ველომარულისტმა მიხეილ გაგნიძემ („ბურევესტნიკი“), რომელიც საუცხოო სასპორტო ფორმაშია. 15 კილომეტრი მან დაჰფარა 19 წუთსა და 6.8 წამში, 20 კილომეტრი— 25 წუთსა და 26 წამში. სასტაერო გარბენას ლიდერობდა სსრ კავშირის ჩემპიონი გ. ლეჟავა. მაყურებელნი გულთბილად მიესალმნენ რესპუბლიკის ახალ რეკორდსმენს.

თავისი რეკორდები მიხეილ გაგნიძემ სტალინური კონსტიტუციის დღეს მიუძღვნა.

## რადიოგადაცემა დღეს

9.10—გაზეთის „პრავდის“ მოწინავე; 09.35 — კონცერტი; 10.00—წერილები გაზეთებიდან; 10.30—გადაცემა სკოლამდელთათვის ქართულ ენაზე (სვიმონიშვილის მოთხრობა „კბილების თავგადასავალი“); 10.50 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი; 11.30—თბილისის ახალი ამბები ქართ. და რუს. ენებზე; 12.45 — საუბარი; 13.00—უკანასკნელ ცნობათა დღის გამოშვება; 17.00—პირველი საუბარი ციკლიდან: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის“ თემაზე: „ქართველი ხალხი შორეულ წარსულში“ (პროფ. სარგის კაკაბაძე). 17.45—საუბარი; 18.30 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართ. და რუს. ენაზე; 18.58—დროის შემოწმება; 19.20—სიმღერები სტალინზე და სამშობლოზე; 20.00—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება (მოსკოვიდან); 20.45 — გადაცემა ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელთათვის; 22.00 — ლიტერატურული გადაცემა ქართ. ენაზე: „დიდი რუსი რეალისტი გონჩაროვი“; 22.30 — გაგრძელება საუბრისა თემაზე: „კომუნისტური ინტერნაციონალის 21 პირობა (ამხ. ორჯუმელაშვილი); 23.00— კონცერტი; 23.30 — საბჭოთა საჯაზო მუსიკის კონცერტი; 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება და საათის რეკა კრემლის კოშკიდან.

## ლექციები და მოხსენებები

**12 დეკემბერს,** საღამოს 9 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის, № 5) შესდგება პროფ. **მჟავანაძის ლექცია** რუსულ ენაზე. თემა: **„სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემისათვის“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება კლუბის სალაროში დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.**

**12 დეკემბერს, საღამოს 8 ს. 30 წ.,** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში აგიტატორებისათვის შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საბჭოების VIII ყრილობა და ახალი სტალინური კონსტიტუცია“.** კონსულტანტი—ამხ. **ლეჟავა.**

**11 დეკემბერს,** საღ. 9 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 21) შესდგება ამხ. **გერონტი ქიქოძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„ერეკლე მეორე“.** ბილეთები იყიდება სალაროში 12-3 და 6-9 საათამდე.

**11 დეკემბერს,** საღ. 8 საათსა და 30 წუთზე, **ლ. კეცხოველის** სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში შესდგება პროფ. **ბუდილევის ლექცია** რუსულ ენაზე საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან. თემა: **„პლეხანოვის ბრძოლა ნაროდნიკების წინააღმდეგ და ნაროდნიკობის განადგურება ლენინის მიერ“.**

**11 დეკემბერს,** საღ. 9 საათზე, **ლ. კეცხოველის** სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში (ლენინის, № 41) ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის რუსულ ენაზე. თემა: **საერთაშორისო მდგომარეობა.** კონსულტანტი ამხ. **კრეიტანი.**

**11, 12 და 13 დეკემბერს** მხატვართა კლუბში (ფურცელაძის ქ., № 2) შესდგება პროფ. **ა. რიბნიკოვის ლექციები** თემაზე: **„ფერწერის ტექნიკა“.**

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

## მწერალთა კლუბში

დღეს მწერალთა კლუბში შესდგება ადამ მიცკევიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. ირ. აბაშიძე.

მოხსენებას მიცკევიჩის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გააკეთებს პოეტი იასამანი. სიტყვებით გამოვლენ: ს. ჩიქოვანი, გრ. აბაშიძე, ლევან ასათიანი, ვ. გორგაძე, ვ. წულუკიძე.

მიცკევიჩის ლექსების თარგმანებს წაიკითხავენ: კ. ჭიჭინაძე, ს. ჩიქოვანი, მ. აფხაიძე, გრ. აბაშიძე, ვ. გორგაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆

**დღეს, 11 დეკემბერს,** საღამოს 8 საათზე, დამწყებ დრამატურგთა სემინარის მორიგ მეცადინეობაზე (მწერალთა კლუბში) ამხ. გ. ბუხნიკაშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ქართული თეატრი მენშევიკების დროს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ“. ორდენოსანი დრამატურგი შალვა დადიანი ჩაატარებს საუბარს თავის დრამატურგიულ გამოცდილებაზე.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 1678124, გაცემული პოლიტორ მოსეს-ძე **ჩხაიძის** სახელზე, და პარტსაკანდიდატო ბარათი № 218007, გაცემული ლეონიდე პლატონის-ძე **მეგრელიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 2165592, გაცემული ზაქარია ელეფთერის-ძე **კაპანაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2848942, გაცემული სეროპ აკეფსის-ძე **თუმანიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2848390, გაცემული რუბენ ამირჯანის-ძე **კაზაროვის** სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3076917, გაცემული ივანე კირილეს-ძე **ურუშაძის** სახელზე, პარტბილეთი № 2843223, გაცემული სონია სოლომ-ასული **თენიეშვილის** სახელზე, და პარტსაკანდიდატო ბარათი № 1684576, გაცემული ვასილ ერმილის-ძე **ინწკირველის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** **სახოპერა** — „ევგენი ონეგინი“ (მე-6 და მე-7 ახ. მე-4 წარმ.), **რუსთაველის** სახელობის — „გიორგი სააკაძე“, **მარჯანიშვილის** სახელობის — „მადამ სან-ჟენ“, **მუსკომედია** — „სკაპენის ოინები“.

**კინოებში:** **რუსთაველის** სახ.—„მეხუთე ოკეანე“, **დღისით** — „აიგიულ“, **ოქტომბერი** — „მეხუთე ოკეანე“, **დამკვრელი** — „მეხუთე ოკეანე“, **დღისით** — „მებრძოლი ახალგაზრდობა“, **ლუქსემბურგის** სახ. — „რუსლან და ლიუდმილა“, **სპარტაკი**—„დიდი ცხოვრება“, **26 კომ.** სახ. — „მუსიკალური ისტორია“, **კომინტერნი** — „მუსიკალური ისტორია“, **წითელი არმიის სახლი**— „ტომ სოიერი“. **განთიადი** — „არინკა“, **საზკვების კავშირის კლუბი** — „კანდოლიარ“, **მეცნიერება და ცოდნა** — „23 ოქტომბერი“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ნათელი გზა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

---

ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
11 დეკემბერს
მადამ სან-ჟენ
12 დეკემბერს
ბედნიერება
13 დეკემბერს
მადამ სან-ჟენ
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
11 დეკემბერს
გიორგი სააკაძე
12 დეკემბერს
ბოგდან ხმელნიცკი
13 დეკემბერს
უდანაშაულო დამნაშავენი
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
11 დეკემბერს
მე-6 და მე-7 აბ. მე-4 წარმ.
ევგენი ონეგინი
12 დეკემბერს
კაკო ყაჩაღი
13 დეკემბერს
I მთების გული მე-3 მოქმ.
II კონცერტი ორ განყოფილებად.
სსრკ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დიდი საოპერო თეატრის სოლისტის დავით ბადრიძის მონაწილეობით.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
15 დეკემბერს დღის წარმოდგენა დაკლებულ ფასებში კაკო ყაჩაღი
დასაწყისი დღის 12 ს.

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა
მოსამზადებელ კურსებზე გრძელდება მსმენელთა მიღება ახალ ჯგუფებში. ქართულ და რუსულ სექტორებზე.
აქვე დაიწყო მეცადინეობა საექსტერნო კურსებმა საშუალო სკოლის ატესტატის მისაღებად. პირობების გაგება ყოველდღე საღამოს 7-დან 10 საათამდე.
მისამართი: თბილისი, ბერიას სახ. რაიონი, ჭიჭინაძის ქ., № 1, პირველი სკოლის შენობაში (რუსთაველის პროსპექტზე—ბავშვთა უნივერმაღის გვერდით).
9161

საქ. ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტი აცხადებს,
რომ 1940 წ. 30 დეკემბერს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ლაბორატორიაში (მარის ქუჩა, № 35) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც დისერტაციას დაიცავენ:
1. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად პროფესორი ალექსანდრე იოსების-ძე დიდებულიძე—თემაზე: „Теория дальноструйных дождевателей и дождевальных установок“.
ოფიციალური ოპონენტები: 1. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი—პროფ. ესჰანი, 2. გეოლოგიური მინეროლოგიის მეცნიერებათა დოქტორი—პროფ. ნ. ა. დიმო, 3. პროფ. მ. ი. მარკოვი.
2. სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად უფ. მეცმუშაკი კ. ს. პოპოვი—თემაზე: „Десертное виноделие Муската белого юненого берега Крыма“
ოფიციალური ოპონენტები: 1. სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. კ. ბ. მოდებაძე, 2. პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილი.
მსურველთ შეუძლიათ შრომებს გაეცნონ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
520 ინსტიტუტის დირექტორი დოც. ნ. ბოლაშვილი.

ქალ. თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველო აცხადებს,
რომ 1941 წლისათვის ტრამვაისა და ტროლეიბუსების წლიურ ბილეთებზე შეკვეთები წარმოდგენილ უნდა იქნას ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს ცენტრალურ ბუღალტერიაში (ტელმანის ქ. № 8, ოთახი № 4) არა უგვიანეს ა. წ. 15 დეკემბრისა.
შეკვეთას უნდა დაერთოს ფოტოსურათი და ცნობა თანხის გადმორიცხვის შესახებ.
ბილეთების ფასები შემდეგია:
ტრამვაის უსახელო ბილეთი . . . . . . . 503 მან.
ტრამვაის სახელობითი ბილეთი . . . . . 333 „
ტროლეიბუსის ბილეთი . . . . . . . 803 „
ბილეთის ღირებულება გადაირიცხება კომუნალურ ბანკში № 291/16 ანგარიშზე.
522 ადმინისტრაცია.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ა. წ. 22/XI № 2397 დადგენილებით 1941 წლის 1/II-მდე უნდა დამთავრდეს
სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის შეფასება.
შეფასების ჩატარება მინდობილი აქვს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს. ამასთან დაკავშირებით, ყველა უწყებები და ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ საცხოვრებელი ფონდი, ვალდებული არიან წარადგინონ კომ. მეურნ. კომისარიატში (კიროვის ქ. № 2, ტელ. № 3-61-09) არა უგვიანეს ა. წ. 15/XII-სა განაცხადი შემდეგი ფორმით:
დასახელება უწყების (კომისარიატი, ტრესტი, სამმართველო)
. . . . . . . . . . . . . . . .

| დასახელება ობიექტის (საბ. მეურნ., მტს, ქარხანა და სხვა). | დაწვრილებითი მისამართი (რაიონი, ქალაქი, სოფელი, უახლოესი რკ. გზის სადგური) | რაოდენობა საცხოვრებელი შენობებისა. | შენობების ფართი (ყველა სართულებისა ერთად) დაახლოებით. |
|---|---|---|---|

ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნული დროისათვის არ წარმოადგენენ განაცხადს, პასუხს აგებენ შეფასების ჩაშლისათვის.
521 საქ. სსრ კომუნ. მეურნ. სახ. კომისარიატი.

მ. ჩუბინიძე, გ. გოჩაშვილი, დ. ჭიჭინაძე, ი. ურიგაშვილი, ვ. გონგაძე, ა. ჩახუნაშვილი, ე. კოჭლავაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. კ. ჩაგუნავას მისი შვილის
**ეთერის**
გარდაცვალების გამო. გამოსვენება 11/XII, საღ. 5½ ს. ბორჯომის, № 7ა.

ვარინკა გიორგაძე, თამარ ჩეკურიშვილი, რახილ ასათიანი, ქეთო ლომიძე, რუსუდან გრიგოლაშვილი, ეკატერინე ასათიანი, ლ. ასათიანი ოჯახებით იუწყებიან
**ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე სოკოლოვის**
გარდაცვალებას. 9255

მეუღლე ეფემია, შვილები ამბროსი, ალექსანდრე, აქია, შურა, ნინო, სიძე მიშა ხუბიეროვი ოჯახებით იუწყებიან
**ნიკოლოზ პავლეს-ძე თოდაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/XII 7 ს. ჩუდადოვის, 60, გამოსვენება 12/XII 5½ ს. კუკიის სასაფლაოზე. 9251

თბილვაჭრობის სამკერვალო კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის იპოლიტე ჭელიძის მამის
**ზურაბ ჭელიძის**
გარდაცვალებას. 9236

შვილი ოლია, სიძე ესე, შვილიშვილები ლიდა, კოლია და ჟორა ხინველები იუწყებიან
**ბაბუსი გაბრიელის-ასულ ღლონტის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/XII ს. დვაბზუში (მახარაძის რ.) 9249

ბიძა შალვა, დეიდა მერი ოზაშვილები, ბაბუა ლადო ყიფიანი იუწყებიან
**პატარა თამაზ არდიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/XII 1 [illegible] 9257

ექიმი პაშა თოფურია შვილით ღრმად იუწყება ძმის
**სერგო იულის-ძე ლომინაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/XII 7 ს. გამოსვენება 12/XII 5 ს. ბახუტოვის, 58. 9259

მეუღლე ოლღა, შვილები მარო, კოტე ხოთაგურები, სიძე შალიკო [illegible] ოჯახებით იუწყებიან
**ნიკოლოზ ადამის-ძე ხოთაგურის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/XII 7 ს. გამოსვენება 12/XII 5 ს. 9 იანვრის ქ. 24. 9267

გიორგი, ელენე, მარდარი, ვერა, გივი, ლუბა [illegible], [illegible] იუწყებიან [illegible] ჩაგუნავას შვილის
**ეთერის**
გარდაცვალებას. 9261

თბილისის ბერიას სახელობის რაიონის I, II და III უბნის სასამართლო—პროკურატურის და იურიდიული კონსულტაციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ელენე ფირცხალაიშვილს მისი დის
**თამარ ივანეს-ასულ ფირცხალაიშვილის**
გარდაცვალების გამო.

ამხანაგები თ. თედორაშვილი, გ. ვარაზაშვილი, ს. ზაალიშვილი, გ. შათაშვილი, ვ. მალოვიჩკო, მ. მრევლიშვილი, მ. გაჩავა, ა. ყიფშიძე, დ. ელიბი, მ. შალიკაშვილი, ა. ხაზარაძე, ნ. გულიაშვილი, თ. მახარაძე, მ. ლეჟავა იუწყებიან არქიტექტორ ქეთო სოკოლოვას მამის
**ნიკოლოზ სოკოლოვის**
გარდაცვალებას. 9271

ნინო და პეტრე მაღრაძეები შვილებით ვალიდათი და ნელით იუწყებიან
**გივი ლოსაბერიძის**
გარდაცვალებას. 9268

თბილისის რკინიგზის სკოლა № 1-ის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის თანამშრომელ
**ევსევი დიმიტრის-ძე კაჭარავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. აბაშაში 12/XII. 9253

თბილისის სატყეო მეურნეობის თანამშრომლები იუწყებიან ამავე მეურნეობის ინჟინერ-მეტყევე აპოლონ გვენეტაძის მამის
**მელიტონ ალფეზის-ძე გვენეტაძის**
გარდაცვალებას. 9254

მშობლები ტარიელ, მარო, ძმა ჯუმბერ ქუთათელაძეები, მამიდა საშურა, ბიძა გრიშა თოფურიები შვილებით იუწყებიან
**ბაიოზ ქუთათელაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/XII 7 ს. გამოსვენება 12/XII 4 ს. ბარნოვის, 4 (საბურთალო) ვაკის სასაფლაოზე. 9250

პურის I ქარხნის თანამშრომლები ჯალაღანია, გურაბანიძე, კოსტავა, [illegible], ბოლოტაშვილი, ინაშვილი, [illegible] იუწყებიან ზ. რუხაძის მამის
**[illegible]**
გარდაცვალებას. 9256

მე-21 საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაგრძნობენ მარო ბარისაშვილს მისი დედის
**ეკატერინე ბარისაშვილის**
გარდაცვალების გამო. 9258

მამა ზაქარია, დედა ოლინკა, მეუღლე ნათელა, შვილი თამაზი ტოროტაძეები მწუხარებით იუწყებიან
**ლავრენტი (მამულა) ზაქარიას-ძე ტოროტაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 დეკემბერს ს. ჭანჭათში (ლანჩხუთის რაიონი).

„კომუნისტის“ სტამბის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე სტამბის საამკინძაო საამქროს ყოფილი უფროსის
**ლავრენტი (მამულა) ზაქარიას-ძე ტოროტაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/XII ს. ჭანჭათში (ლანჩხუთის რ.).

შვილები ილია, სიმონ, მარიამ, რძლები მარიამ, ვარა, თამარ, სიძე ზაქარია ფალავანდიშვილი, და სოფიო ნაცვლიშვილისა, შვილიშვილები იუწყებიან
**ქეთევან თაქთაქიშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/XII 7 ს. ფალიაშვილის, 62. გამოსვენება 12/XII 5 ს. 9264

შვილები გიორგი და იოსებ, რძლები არისტიდა, ტასო ცქიმანაურები იუწყებიან
**აბრამ კონსტანტინეს-ძე ცქიმანაურის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/XII 5 ს. სურიის, 12, (ლენრაიონი). 9260

მშობლები მატრონია, დიანოზ, ძმა შალიკო, რძალი ნატაშა, ბიძები ვანო, ალექსი, ერასტი, ბიცოლები დარიკო, მატრონია, ანიჩკა იუწყებიან
**ირაკლი კოზერიძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/XII 4 ს. შინდისის, 16, კუკიის სასაფლაოზე. 9245

ანიჩკა გეგეშიძისა შვილებით [illegible] და სიძეებით იუწყება
**გივი დავითის-ძე ლოსაბერიძის**
გარდაცვალებას. 9252

მეუღლე კატო, დედა ეფროსინე, ძმები ნესტორ, კოსტა, ევგენი, ალექსანდრე ცოლშვილით იუწყებიან
**მალაქია შიოს-ძე რთველაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/XII 7 ს. გამოსვენება 12/XII 5 ს. ორჯონიკიძის ქ. 62. 9263

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულის—3-57-61, პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო—3-73-40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3-80-83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3-80-84, წერილების—3-73-24, პ.-მგ. მორიგისა და გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის 3-77-70. ხელნაწერები ავტორს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

1

უე 4418